



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ზელიმხან რაქვიაშვილი

ასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნის

თავისებურებანი

სამართლის ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ვლადიმერ მაჭარაშვილი

სამართლის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი

2018

ანოტაცია

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით მომრავლდა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები, რაც მრავალი მიზეზით არის გამოწვეული. ის რომ ახალგაზრდა თაობა ნებისმიერი ქვეყნის მომავალს წარმოადგენს ეს ფაქტი უდავოა. თუმცა მათ მიერ ჩადენილი დანაშაული არ ათავისუფლებს მათ პასუხისმგებლობისაგან. მოცემული ნაშრომი ამ მეტად საჭირობოროტო საკითხის განხილვას შეეხება.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია კონცეფცია „არასრულწლოვანის“ მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამართლებრივი ბაზის წარმოშობისა და ისტორიული განვითარების ეტაპები.

ნაშრომის მესამე თავში გაანალიზებულია არასრულწლოვანთა სასჯელის სახეები, ჩაკოყალიბებულია არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნები, რომელიც არსებობდა განსხვავებულია სრულწლოვანთა სასჯელის მიზნებისაგან და წარმოჩენილია მათი დანიშვნის თავისებურებები

მეოთხე თავი ეხება პრევენციული ღონისძიებების მნიშვნელობას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელებისა და დანაშაულის შემცირების ხელშესაწყობად, განხილულია ის პრობლემატიკა რაც ეხება სასჯელის დანიშვნის საკითხს. გარდა ამისა, შედარებულია საზღვარგარეთის ქვეყნების და საქართველოში არსებული პრაქტიკა ყოფილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის კუთხით.

ნაშრომის დასარულს გაანალიზებულ მასალებზე დაყრდნობით შემუშავებულია და გამოტანილია შესაბამისი დასკვნა.

Anotacion

In recent years, the crimes committed among juvenilis have been excarbated.

due to many reasons that the young generation is the future of any country. The fact is that they are guilty. Thus the rights and dinity of juvenile should not be violated. this work deals with consideration of this highly erratic issue. The first chapter of the work is defineted by the concept of juveniles in the second chapter of the work is discussed in the juvenile. In the third chapter of the work, juvenile justice regulations are analyzed in compliance with international and Georgia legislation and deficiencies. This chapter also deals with the juvenile justice principles. The fourth chapter presents the importance of the principal measures to facilitate effective implementation of juvenile justice and reduction of impairment. The problems is also related to the issue of improsing a sentence.

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი I კონცეფცია „არასრულწლოვანი“ სისხლის სამართლის პროცესში.....	10
თავი II არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების წარმოშობა-განვითარების ისტორიული საფუძვლები და სასჯელის დანიშვნის რეგულირება	15
თავი III არასრულწლოვანთა სასჯელი, მისი სახეები და დანიშვნის თავისებურებები.....	20
3.1 სასჯელის ცნება.....	20
3.2 არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნები.....	23
3.3 არასრულწლოვანთა სასჯელის სახეები.....	26
3.4 არასრულწლოვანთა სასჯელის შეფარდების საკითხები.....	33
თავი IV არასრულწლოვანი დამნაშავეები და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრევენციული ღონისძიებები	49
4.1 არასრულწლოვანი დამნაშავეები და სასჯელის მიზანი	49
4.2 არასრულწლოვანთა დანაშაულის შემცირებისა და რესოციალიზაციის პრევენციული ღონისძიებები.....	57
4.3 არასრულწლოვანის სასჯელის მოხდის შემდგომი პერიოდი, მისი სამართლებრივი და ფისქოლოგიური ასპექტები.....	64
დასკვნა	71
გამოყენებული ლიტერატურა.....	73

შესავალი

თემის აქტუალურობა. ბოლო წლებში, ჩვენს ქვეყანაში კრიზისული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მორალისა და კულტურის დონე საგრძნობლად შეიცვალა და ამან ყველაზე მეტად გავლენა მოახდინა ახალგაზრდა თაობაზე. ეს კი თავის მხრივ იწვევს ბავშვთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობის ზრდას და ამასთანავე, სერიოზულ დანაშაულთა რიცხვი დინამიურად იზრდება. არსებული პრინციპი ამბობს, რომ კანონის უგულებელყოფა პასუხისმგებლობას არ ათავისუფლებს და დანაშაულთა უმრავლესობა ბავშვისა და მოზარდების მიერ ჩადენილია კანონის უცოდინრობის გამო. ბავშვები არ ფიქრობენ შემდგომი პასუხისმგებლობის შესახებ. პრობლემის კიდევ ერთი მხარე ის არის, რომ ბავშვებმა არ იციან მათი უფლებების შესახებ და როგორ დაიცვან თავი. ეს კი იწვევს იმ ფაქტს, რომ ისინი იცავენ მას ნებისმიერი ცნობილი საშუალებით, გარდა კანონით.

ნებისმიერი ქვეყნის მომავალს განსაზღვრავს ახალგაზრდობის აღზრდა. თუმცა ამაში დიდი როლი ოჯახის და სკოლის გარდა სახელმწიფომაც უნდა შეასრულოს. ეს კი გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსურ მიდგომას. ის ფაქტი, რომ მთელს მსოფლიოში და არა მარტო საქართველოში მოიმატა დანაშაულის რიცხვმა შემამფოთებელია, თუმცა ყველაზე მეტად საყურადღებოა ის, რომ დამნაშავეთა შორის არიან არასრულწლოვნებიც. შესაბამისად, მოცემული კვლევა განპირობებულია თანამედროვე საზოგადოებაში მოზარდთა დანაშაულებებთან ბრძოლის დიდი მნიშვნელობით, მათი დაცვის უფლებების პრიორიტეტებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სისხლის სამართლის პროცედურის გაუმჯობესების აუცილებლობით.

არსებობს ბევრი სოციალური მიზეზი, რის გამოც ბავშვები შეიძლება აღმოჩნდნენ კანონთან კონფლიქტში. ამის ძირითადი პირობაა: სიღარიბე, უსახლკარობა, განათლებასა და დასაქმების შესაძლებლობების არარსებობა,

მიგრაცია, ნარკოტიკების ან ფსიქოაქტიური ნივთიერებების არასპეციფიკური გამოყენება, თანატოლების მხრიდან ზეწოლა, ზრდასრულთა კონტროლი, ძალადობა, და ექსპლუატაცია.

როგორც უკვე აღინიშნა, არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზები საზოგადოებაში მრავლადაა და იგი დიდად არ განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, როგორცაა, მაგალითად ბავშვი, რომელიც იზრდება ძალადობრივ გარემოში; სოციალური გარემო და ღირებულებები, რომელშიც ბავშვი ყალიბდება; ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ეკონომიური სიღუბლე; სტიგმა და სხვა. ნებისმიერი ამ და სხვა ფაქტორების არსებობა, მიუხედავად იმისა, თუ რომელმა ფაქტორმა გამოიწვია ბავშვის დევიანტური ქცევა, ის კანონთან კონფლიქტში ყოფნის გამო ხშირად ხვდება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, წყდება ოჯახს და გარემოს, სადაც იზრდება და ყალიბდება. (ხასაია მ. (8.), 2017)

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს რეაგირება? და რა არის ამ პრობლემის მოგვარების უმთავრესი გზა? როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმებისა და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით? გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის (მე -3 მუხლი) ყველა გადაწყვეტილების თანახმად, რომელიც მიღებულ იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კონტექსტში, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ მართლმსაჯულების განხორციელებისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ბავშვის ინტერესების დაცვას. იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვები განსხვავდებიან მოზარდებისაგან მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების და მათი ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით. ეს და სხვა მიზეზები ქმნიან საფუძველს იმისათვის რომ აღიარებულ იქნეს იმ ბავშვების დანაშაულის ზომის სიმცირე, რომლებიც იმყოფებიან კანონთან კონფლიქტში, არამედ ემსახურება

არასრულწლოვანთა საქმეებში მართლმსაჯულების ცალკეული სისტემის ჩამოყალიბებასა და ბავშვთა მიმართ განსხვავებული მოპყრობის აუცილებლობას.

ბავშვის ინტერესების დაცვა ნიშნავს, მაგალითად, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ტრადიციული მიზნებმა, როგორცაა თავისუფლების აღკვეთა/სასჯელი, გზა უნდა დაუთმონ არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაციასა და გამოსწორებას. (Замечания общего порядка №10 (2007))

მსოფლიო საზოგადოებრიობა ბავშვთა მდგომარეობით პირველად 1923 წელს დაინტერესდა, როდესაც ახლადდაარსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ “გადავარჩინოთ ბავშვების საერთაშორისო კავშირმა” მიიღო ხუთი მუხლისაგან შემდგარი ბავშვთა უფლებების დეკლარაცია, რომელიც უენევის დეკლარაციის სახელითაა ცნობილი. ბავშვის უფლებათა უენევის დეკლარაცია 1924 წელს ერთა ლიგის მეხუთე ასამბლეამ დაამტკიცა.

1948 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაციის გავრცობილი ვერსია და 1959 წელს - ახალი დეკლარაცია, რომელიც ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის ათ ძირითად პრინციპს შეიცავდა.

ბავშვთა უფლებების ამსახველი კონკრეტული დებულებანი შესულია ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილ თუ ჰუმანიტარული სამართლის სხვადასხვა დოკუმენტში. მიუხედავად ამისა, რიგმა სახელმწიფოებმა საჭიროდ მიიჩნიეს შექმნილიყო სრულყოფილი დოკუმენტი ბავშვთა უფლებების შესახებ, რომელიც საერთაშორისო კანონმდებლობით იქნებოდა განმტკიცებული. (გაეროს ბავშვის უფლებების კონვენცია, 2007)

გაეროს წესების მინიმალური სტანდარტის თანახმად, რომელიც ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებას, ("პეკინის წესები", 1985), დადგენილია, რომ სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ისეთი პირობები, რომელიც საშუალებას მისცემს საზოგადოებაში მნიშვნელოვნად უზრუნველყოს მოზარდის ცხოვრების პირობები, როდესაც იგი მიდრეკილია არასწორი ქცევისაკენ, ხელი შეუწყონ პიროვნული განვითარებისა და განათლების პროცესს

და მაქსიმალურად გაათავისუფლოს დანაშაულის ჩადენისა და კანონდარღვევისაგან.

საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ამოქმედდა 2016 წელს, რის შემდეგაც სხვადასხვა უწყებებს დაეკისრათ ვალდებულება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, ჩამოეყალიბებინათ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ გამოსაყენებელი დეტალური პროცედურები და პრაქტიკა, რომელიც მოიცავდა პერიოდს სამართალდამცავ ორგანოებთან ბავშვის პირველი კონტაქტიდან სასამართლო განხილვის ჩათვლით (ასევე სასჯელის აღსრულების ნაწილსაც). (ქელბაქიანი ა., ცაგარელი ნ., ტურაბაშვილი გ. კვლევის ანგარიში, 2016)

კონკრეტული იურიდიული სტატუსი საზოგადოებაში, ვისაც არ მიუღწევია სრულწლოვნობის ასაკამდე, გულისხმობს სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპზე არასრულწლოვან დამნაშავეებთან დაკავშირებულ სპეციალურ წესებსა და პროცედურებს. სასჯელის სწორად დანიშვნამ საზოგადოების თითოეულ წევრს სამართლიანობის განცდა უნდა ჩამოეყალიბოს. სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასჯელის მიზნები, მისი დანიშვნის ზოგადი საწყისები. ეს პროცესი განსაკუთრებულ სპეციფიკას მოითხოვს არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნისას, რომლის დროსაც, ჩამოთვლილ გარემოებებთან ერთად, მხედველობაშია მისაღები დამნაშავის ასაკი. (ივანიძე მ., 2017)

ნაშრომის მიზნები და ამოცანები. ნაშრომის მიზანმა განსაზღვრა შემდეგი ამოცანები:

კონცეფცია „არასრულწლოვანის“ განხილვა სისხლის სამართლის პროცესის ჭრილში;

არასრულწლოვანთა სასჯელის სახეების განხილვა;

არასრულწლოვანთა მიმართ განსახორციელებელი საჯელის მიზნების განსაზღვრა;

არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ სასჯელის შეფარდების თავისებურებების განხილვა;

არასრულწლოვან დამნაშავეთა რესობიალიზაციისა და დანაშაულის შემცირების ხელშესაწყობად პრევენციული ღონისძიებების წარმოჩენა.

ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პრობლემატიკის და სამართლებრივი ასპექტების განხილვა და შედარებითი ანალიზი საზვარარეთის ქვეყნებში და საქართველოში.

ნაშრომის კვლევის ობიექტი: არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნის თავისებურებების გამოვლენა.

კვლევის მეთოდები: ისტორიული, ლოგიკური, შედარებითი სამართლებრივი და სტატისტიკური მეთოდები, სისტემური მიდგომა.

კვლევის თეორიული საფუძველია სხვადასხვა ავტორების ნაშრომები, სტატიები, წიგნები, ელექტრონული მასალა.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავალისაგან, 4 თავისაგან, 7 ქვეთავებისაგან და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

თავი I კონცეფცია „არასრულწლოვანი“ სისხლის სამართლის პროცესში

ბავშვები ნებისმიერ სახელმწიფოში განსაკუთრებული პრივილეგიებულ პოზიციაში არიან. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი: მოზარდ თაობაზე ზრუნვა სახელმწიფოს საქმიანობების ყველაზე მრავალფეროვან სფეროში გამოიხატება. არასრულწლოვანებთან ერთად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ორსული ქალები, გონებრივად დაავადებული პირები, მიეკუთვნებიან იმ პირთა რიცხვს, ვინც საზოგადოების მხრიდან ხშირად აწყდებიან უარყოფით დამოკიდებულებას, შესაბამისად საჭიროებენ საკუთარი სამართლებრივი ინტერესებისა და უფლებების განსაკუთრებულად დაცვას. არასრულწლოვნად ითლება პირი, რომელიც ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით არ ითვლება სრულწლოვნად და არ აქვს მინიჭებული უფლება ისარგებლოს გარკვეული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით.

საქართველოს კანონის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად არასრულწლოვნად მიჩნეულია პირი, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 16 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის – პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი. (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი)

„ბავშვის უფლებათა კონვენცია“, რომელსაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1989 წლის 20 ნოემბერს ერთხმად დაუჭირა მხარი, მსოფლიო მასშტაბის

იურიდიული დოკუმენტია. კონვენცია, რომელიც 54 მუხლისაგან შედგება, მოიცავს არა მარტო სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებსაც. ამ მხრივ კონვენციას უთუოდ გამორჩეული ადგილი უკავია ადამიანთა უფლებების თემაზე შექმნილ დოკუმენტთა შორის. (ბავშვის უფლებათა კონვენცია, 2007)

გაეროს ბავშვთა უფლებების 1989 წ. კონვენცია არასრულწლოვანზე საუბრობს, როგორც პიროვნებაზე, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკამდე, თუ ამ ბავშვის მიმართ კანონით არ არის დადგენილი, რომ მიაღწია სრულწლოვნობას. (Конвенция о правах ребенка) გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ “ბავშვის უფლებათა კონვენციის” მიღებამ სათავე დაუდო სახელმწიფოთა მიერ კონვენციის რატიფიცირებასა და მისი მონიტორინგის მიზნით საგანგებო კომიტეტის შექმნას. 1990 წლის სექტემბრისათვის კონვენციას 20-მა სახელმწიფომ მოაწერა ხელი, რის შედეგადაც იგი ოფიციალურად შევიდა ძალაში. დღეისათვის კონვენციის რატიფიცირება მოახდინა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ. საქართველო აღნიშნულ კონვენციას 1994 წელს შეუერთდა, რითაც აიღო ვალდებულება შეესრულებინა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებანი. (ბავშვის უფლებათა კონვენცია, 2007)

გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები, რომელიც მიღებულია 1985 წელს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ (პეკინის წესები), არ განსაზღვრავენ სპეციფიკურ ასაკს, თუმცა მიუთითებს, რომ არასრულწლოვნად ითვლება ბავშვი ან მოზარდი, რომელიც, არსებული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში, შესაძლებელია მიცემულ იქნეს პასუხისმგებლობაში ჩადენილი დანაშაულისათვის, მაგრამ იმგვარი ფორმით რომელიც განსხვავდება მოზარდილთა პასუხისმგებლობის ფორმისაგან. (Конвенция о правах ребенка)

1918 წლის რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი დეკრეტით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი განისაზღვრა 17 წლით. ანალოგიური მდგომარეობა იყო საქართველოში. 1924 წლის საქართველოს სსრ

სისხლის სამართლის კოდექსით პასუხისმგებლობის ასაკი განისაზღვრა 16 წლით. 1958 წლიდან შესაძლებელი გახდა 14 წლის პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა, მაგრამ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. (ხუჭუა ნ., 1998). 2000 წლის 1 ივნისს ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელმაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად ყველა დანაშაულზე 14 წელი გამოაცხადა. 2007 წლის 23 მაისის საკანონმდებლო ცვლილებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი ზოგიერთ დანაშაულზე შემცირდა 12 წლამდე. ასეთი დანაშაულის რიცხვს განეკუთვნებოდა განზრახ მკვლელობა (108-ე მუხლი), განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (109-ე მუხლი), გაუპატიურება (137-ე მუხლი), ძარცვა, გარდა პირველი ნაწილისა (178-ე მუხლი), ყაჩაღობა (179-ე მუხლი) და 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება (2381 მუხლი). (შალიკაშვილი, მ., მიქანაძე გ., 2011)

არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის 12 წლამდე დაწევამ, თუნდაც მხოლოდ მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე, საზოგადოებაში დიდი დისკუსია და ექსპერტების კრიტიკა გამოიწვია. (ტურავა მ., 2010)

მ. პ. ჟურავლევას აზრით, მოზარდის ან ბავშვის იურიდიული განმარტება გამოიყენება ერთი მხრივ მოზარდის, ბავშვისა და მეორე მხრივ ზრდასრული პიროვნების სამართლებრივი უფლებების, დაცვის და პრივილეგიების გამოსაყოფად. ესენი არიან პირები, რომელთაც არ შესრულებიათ 18 წელი, 14 წლიდან 18 წლამდე ასაკის პირები. (Журавлев, М.П., 2013.)

ნ.გ. ივანოვის თანახმად, არასრულწლოვნად ითვლება, პირი რომელსაც არ შესრულებია 18 წელი. (Иванов, Н.Г. 2014. - 436). როგორც ს.პ მინინა ამტკიცებს არასრულწლოვნად მიჩნეულია პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტში არ მიუღწევია თვრამეტ წლამდე. აქედან გამომდინარე, არასრულწლოვანი ბრალდებული პირი არის პიროვნება, რომელიც ეჭვითაა დასაშაულის

ჩადენაში და რომელიც მან ჩაიდინა 18 წლის ასაკის მიღწევამდე. (Минина, С.П. 2014. - 410 с.)

ამდენად, არასრულწლოვანი გაეროს ბავშვთა კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის თანხმად არის პირი, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკამდე დანაშაულის ჩადენის მომენტში. შესაბამისად, სასჯელის დანიშვნისას დგინდება იმ პირის ზუსტი ასაკი, რომელმაც ჩაიდინა ესა თუ ის დანაშაული.

1960 წელს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის ასაკი, სასჯელის მიზნები, სასჯელის სახეები და მათი დანიშვნის წესი თავისებური ხასიათის იყო და არსებული სინამდვილიდან გამომდინარეობდა. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საერთო ასაკი მაშინ 16 წელი იყო. 14-დან 16 წლამდე ასაკის პირებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ისეთი დანაშაულისათვის ეკისრებოდათ, როგორცაა მკვლელობა, სხეულის განზრახ დაზიანება, გაუპატიურება, ქურდობა, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებადი ნივთიერების გატაცება და მთელი რიგი ისეთი ქმედებები, რომლის გაცნობიერებაც (სხვადასხვა სპეციალისტის შეხედულებით) 14-დან 16 წლის პირს შეეძლო. იმ პირთა მიმართ, ვინც დანაშაულს 18 წლის ასაკამდე ჩაიდენდა და მოსამართლის შეფასებით დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენდა, შესაძლებელი გახლდათ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება, რაც სისხლისსამართლის სასჯელს არ წარმოადგენდა.

აღნიშნული რეგულირდებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლით, ანუ არასრულწლოვანთა მიმართ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებათა გამოყენებით. (ივანიძე მ., 2017)

საქართველოს პარლამენტმა 2010 წლის 23 თებერვლის კანონით გააუქმა ეს ცვლილება და არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი ყველა დანაშაულზე 14 წლით განსაზღვრა.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსით არასრულწლოვნად 80-ე მუხლის თანახმად მიჩნეულია ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა 14 წელი,

მაგრამ ჯერ არ შესრულებია 18 წელი. სამართალში ასაკის მნიშვნელობა განპირობებულია იმ პასუხისმგებლობით, რომელსაც პირი ატარებს მისი მიღწევის შემთხვევაში. შესაბამისად, შეუძლებელია დაისაჯოს პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის დროს ჯერ არ შესრულებს 14 წელი. (შალიკაშვილი, მ., მიქანაძე გ., 2011)

სასამართლო პრაქტიკაში მოზარდის ასაკს დაბადების ან პირადობის მოწმობის საშუალებით ადგენენ. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ასაკის დადგენა შეუძლებელია, ტარდება სამედიცინო ექსპერტიზა. ექსპერტიზას არ შეუძლია დაადგინოს ზუსტი ასაკი. მას, თავის მხრივ, მხოლოდ იმის დადგენა შეუძლია, რომ ბავშვი დანაშაულის ჩადენის დროს იყო 13 დან 15 წლამდე ასაკის. ასეთ შემთხვევაში ბავშვი უნდა ჩაითვალოს 13 წლის და გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან. ასაკის დადგენისას საინტერესოა ასევე ერთი გარემოება - ბავშვის დაბადების დღე. ვთქვათ, დანაშაული ჩადენილია დაბადების დღეს - 10 მაისს. ითვლება, რომ პირი ჯერ არ არის 14 წლის, ვინაიდან სსკ მე-80 მუხლის თანახმად, “სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას ან მისგან გათავისუფლებისას არასრულწლოვნად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი წელი”. კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს და ამბობს, რომ პირი დანაშაულის ჩადენამდე უნდა იყოს 14 წლის. შესაბამისად, 10 მაისს, დაბადების დღეს, ჩადენილი დანაშაული არ იქნება პასუხისმგებლობის საფუძველი და მხოლოდ 10 მაისის 24 საათის შემდეგ (11 მაისს) ჩადენილი ქმედებისათვის იქნება შესაძლებელი პასუხისმგებლობის დაკისრება. (ნაჭყებია გ./ დვალაძე ი. (რედ.), 2007)

საბოლოოდ შესაძლოა ითქვას, რომ ეროვნული მიდგომა სისხლისსამართლებრივი პასუხის მინიმალური ასაკის განსაზღვრის სფეროში საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება; დანესებული ზღვარი 14 წელი არ იწვევს არასრულწლოვნებში გაურკვევლობასა და პროტესტის შეგრძნებას, ვინაიდან უმეტესობა ხვდება, რომ პირი მოზარდია ის თუ სრულწლოვანი უნდა იყოს პასუხისმგებელი საკუთარი ქმედებისათვის, თუმცა გამოკითხვის შედეგებმა დაგვარწმუნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ 14 წელს მიუღწეველი პირი ვერ

გახდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტი, აუცილებელია მის მიმართ სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების გამოყენება, რათა არასრულწლოვანი არათუ დაისაჯოს, არამედ მოხდეს მისი დროული რეაბილიტაცია და მომავალში ასოციალური ქმედების ჩადენის პრევენცია. (საჯაია თ., 2017)

თავი II არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების წარმოშობა-განვითარების ისტორიული სათუძოლები და სასჯელის დანიშვნის რეგულირება

კვლევის საგნის ისტორიის შესწავლა მისი არსისა და განვითარების პერსპექტივის გახსნის გასაღებს იძლევა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისათვის. მისი ისტორიის ცოდნის გარეშე რთულია მისი სპეციფიკის შეგრძნება: რატომ არ არსებობდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და რამ გამოიწვია მისი წარმოშობა? არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება რატომ იხრება ზოგად პროცესუალური კანონმდებლობისაგან და მიუხედავად ამისა, ითლება ეფექტურად?

არასრულწლოვანი დამნაშავეების ისტორიულ წარსულს შეიძლება ეწოდოს სასტიკი და უსამართლო. ეს შეფასება ეხება ადამიანის ცხოვრების რამდენიმე ეპოქას - ანტიკური სამყაროდან დაწყებული გავრძელებული XIX საუკუნის შუა წლებამდე. მართლმსაჯულების ხმალი არასრულწლოვანთა მიმართ იყო სადამსჯელო. ამის შესახებ შეფასების გაკეთება შესაძლებელია ზოგიერთი ისტორიულ და სამართლებრივ წყაროზე დაყრდნობით: იმ პერიოდის იურისპრუდენციაში არ არსებობდა ბავშვობის იურიდიული კონცეფცია, როგორც ადამიანის სიცოცხლის განსაკუთრებულად დაცვის პერიოდი. შედეგად, იმ

პერიოდის სასამართლოებში და გათავისუფლების შემდგომაც არსებულ სამართლებრივ აქტებში არ ვლინდება ბავშვთა და მოზარდთა სპეციალური დაცვის სამართლებრივი წესები. შეიძლება ითქვას, რომ ანტიკურ, შუა საუკუნეებსა და „ადრეული“ კაპიტალიზმის იურისტებს ბავშვი-დამნაშავეები, როგორც დამოუკიდებელი დემოგრაფიული ჯგუფი არ აინტერესებდათ. შესაბამისად, არასრულწლოვანთა მიმართ სასტიკი მოპყრობა ვლინდებოდა იმ ფაქტებით, რომ თუ ისინი ჩაიდენდნენ დანაშაულს ან უკანონო ქმედებას, მათი სამართლებრივი სტატუსი გათანაბრებული იყო ზრდასრული დამნაშავეების სტატუსთან.

და მაინც არ შეიძლება კატეგორიულად და ცალსახად იმის მტკიცება, რომ რომის სამართლის შედარებით გვიანდელმა შუასაუკუნეების დროინდელმა სამართლებრივმა აქტებმა და უფრო მეტად XVIII-XIX საუკუნეების კანონმდებლობამ არ დაგვიტოვა არანაირი სამართლებრივი მტკიცებულება იმისა, რომ გარკვეული სახით ყოფილიყო მცდელობა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი ქმედებისათვის სასტიკი სასჯელისაგან დასაცავად. საპირისპიროში დასარწმუნებლად საჭიროა რომის კანონმდებლობის ზოგიერთი კანონის გახსენება. დავიწყოთ სამოქალაქო სამართლის ნორმებით. ეს განპირობებულია იმით, რომ არასრულწლოვანთა სასამართლო დაცვა ისტორიულად სამოქალაქო საზოგადოებაში ჩამოყალიბდა და არა სისხლის სამართალში.

დიგესტების შემქმნელი იმპერატორ იუსტინიანეს (ჩვ. წ.ა. VI საუკუნეში) მეოთხე წიგნში არის, სათაური IV, სახელწოდებით „პირებზე, რომელთაც არ შესრულებიათ 25 წელი“. ტიტული 1-ში, რომის იურისტის, პრეტორიის პრეფექტის, დომინიკ ულპანის სიტყვებია ციტირებული: *„მივყვები ბუნებრივ სამართლიანობას, პრეტორმა დაამტკიცა ეს ბრძანება, რომლის მეშვეობითაც მან უზრუნველყო ახალგაზრდების დაცვა, რადგან ამ ასაკის პირებში გონიერება არის შებოჭილი და მყიფე და ექვემდებარება მარავალგზის მოტყუებას, ამ ბრძანებით იგი დაპირდა ახალგაზრდებს დაცვას“.* (Дигесты Юстиниана: 1984.)

შემდეგი მოდის ბრძანების ტექსტი, საიდანაც ცხადია, რომ 25 წლამდე ასაკის პირთა დაცვა ხორციელდება მათი სამეურვეოებით და ძირითადად ეხება

ქონებასთან გარიგებებს. IV ნაწილში არსებობს კიდევ რამდენიმე პუნქტი, რომლებიც დეტალურად განიხილავს ამ პირების მიერ გარიგებების სხვადასხვა შემთხვევებს და მიუთითებს, როდის უნდა იყოს დაცული და როდის არა. აღნიშნულია ასევე დანაშაულის შესახებაც. ალბათ, თანამედროვე გაგებასთან უფრო ახლოს იქნება იმავე იულიანეს პასუხი, იმ შეკითხვაზე რასაც მან გასცა, შეიძლება თუ არა არასრულწლოვანს გაეწიოს დახმარება, თუ მან განზრახ ჩაიდინა დანაშაული. „უნდა ვაღიაროთ - ამბობდა იგი, - რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში არასრულწლოვანი დახმარება არ უნდა მოხდეს და ეს არ მოხდება. რადგან თუ მან ჩაიდინა ქურდობა და უკანონოდ ზიანი მიაყენა, დახმარება არ გაეწევა“. (Дигесты Юстиниана: 1984.)

რომის კანონმდებლობა კიდევ ერთი მტკიცებულება დაგვიტოვა სახელმწიფოს მიერ ბავშვების დაცვაზე: ეს არის სახელმწიფო-მამის დოქტრინა (*parens patriae*). სახელმწიფომ გამოცხადდა ბავშვის უმაღლეს მფურვედ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორიაში იგი არაერთხელ იქნა დეკლარირებული. თუ ვისაუბრებთ იმაზე თუ რა დაგვიტოვა ანტიკურმა სამყარომ და შუა საუკუნეებმა არასრულწლოვანთა დანაშაულობებზე და მათი სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობის შესახებ, კანონები მხოლოდ ბავშვთა და მოზარდების დასჯას ეხებოდა. პროცედურულმა სტატუსით იურისტები დაინტერესდნენ შედარებით მოგვიანებით.

რომაული სისტემის ამოსავალი წერტილი იყო ის, რომ ადამიანის ორგანიზმის როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ძალები, ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ განახლდებიან და რომ ადამიანის სიცოცხლის ეს შვიდწლიანი ვადები სავსებით შეესაბამება მისი განვითარების ძირითად ეტაპებს. ამ თვალსაზრისით, ეს სისტემა განარჩევდა ე.წ. „*infantes*“ - 7 წლამდე ბავშვობის, ანუ უპირობო შეურაცხაობის პერიოდს; „*impuberes*“ - ყრმობის პერიოდს 7-14 წლამდე, რომელიც, თავის მხრივ, ორ კატეგორიად იყოფა: „*pubertati proximi*“, „*infantioe proximi*“, როცა შერაცხადობის საკითხი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წყდება და ბოლოს

„minores“ – 21, ხოლო ზოგჯერ 25 წლამდე, რომელთაც სასჯელი მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში უმსუბუქდებოდა. (სურგულაძე ლ., 1989)

XII ცხრილის კანონებში, პირველად ჩამოყალიბდა სასჯელის პატიების პრინციპი. იგი ძირითადად ეხებოდა არასრულწლოვნებს და ზოგიერთ შემდგომ მუშაობებს, რომელშიც ინტერპრეტირებული იყო აღნიშნული კანონის შინაარსი, და ჩამოყალიბდა როგორც პატიება არასრულწლოვნების მიმართ. XII ცხრილის კანონები შეეხებოდა სასჯელის არგამოყენებას შემდეგი ორი პირობით:

- 1) როდესაც დამნაშავეს არ ესმოდა დანაშაულებრივი ქმედების ბუნება;
- 2) როდესაც სისხლის სამართლის ქმედება არ იყო დასრულებული.

ეს პრინციპი დიდი ხნის განმავლობაში გავრცელებული იყო იმ ქვეყნებში, რომლებმაც მიიღეს რომის სამართლის კანონები. სისასტიკე და ბავშვების, როგორც ჩვეულებრივი ადამიანის პიროვნების გარიყვა დამახასიათებელი იყო შუასაუკუნეების სამართლებრივ აქტებში. ცნობილი შვეიცარიელი მკვლევარები არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ, მორის და ენრიკე ვეიარ-ციბულსკები არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიის გრძელვადიანი კვლევების შედეგების მიხედვით ამტკიცებდნენ, რომ ბავშვთა სიკვდილით დასჯის გამოყენება ხშირი იყო. მთ მიმართ გამოიყენებოდა ყველა არსებული სასჯელი, მსაგვსად მოზრდილებისა, მათთან ერთად ციხეში ჯდომა, ბავშვებისათვის გაუგებარი საპროცესო ქმედებები (სასამართლოს წინშე წარდგენა) და მიუღებელი წამება.

მიუხედავად იმისა, იმ დროს ბევრ საკანონმდებლო აქტში („შვაბის სარკე“ - მე - 12 საუკუნის გერმანიის კანონების კრებული, „კაროლინა“ - მეფე ჩარლზ V- ის სისხლის სამართლის კოდექსი XVI საუკუნე), ზემოთ აღნიშნულმა სასჯელის პატიებამ ჰპოვა ასახვა, კანონებში თავად იყო დათქმები, რამაც ამ პრინციპის შემოიჭრა განაპირობა. სადამსჯელო კონტექსტ იყო „კაროლინას“ მუხლში CL-XIV, სადაც არასრულწლოვანი ქურდების შესახებ ნათქვამი იყო შემდეგი: „თუ ქურდი იყო თოთხმეტი წლის ასაკამდე, მიუხედავად ნებისმიერი საფუძვლისა, არ შეიძლება დასჯილნი იყვნენ სიკვდილით, არამედ უნდა დაექვემდებარონ თიზიკურ

სასჯელს (სასამართლოს შეხედულებისამებრ) და უნდა დადონ ფიცი“. ჩანს თითქოს არასრულწლოვნები დაცული იყვნენ სიკვდილით დასჯისაგან, მაგრამ მოყვანილ ტექსტ მოსდევდა წინადადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ „თუ ქურდი თავისი ასაკით ახლოსაა 14 წელთან და ქურდობა მნიშვნელოვანია ან ახლავს დამამძიმებელი გარემოება (ძალადობრივი ქურდობა ან ქურდობა მესამედ) იმდენად საშიშია, რომ სიბრაზეს შეუძლია შეავსოს ასაკობრივი დანაკლისი, მაშინ მოსამართლემ და შეფენებმა უნდა დასვან კითხვა ... პასუხი, საჭიროა თუ არა ასეთი არასრულწლოვანი ქურდის საკუთრების ან ფიზიკური შეურაცხყოფის ან სიკვდილით დასჯის აუცილებლობა „კაროლინის“ თანახმად. (Уголовно-судебное уложение Карла V. Алма-Аты, 1967)

სისხლის სამართლისა და სამართლიანობის შემდგომი განვითარება სასჯელის მოხდის პატიების პრინციპს უფრო და უფრო მეტი გადახრები მისცა, როცა საქმე ეხებოდა არასრულწლოვნებს. ეს იყო შუასაუკუნეების ბნელი ეპოქის ასახვა.

არასრულწლოვანთა სპეციალური სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ნაკლებობა შეიძლება აღმოჩნდეს XIX საუკუნის დასაწყისში და შუა პერიოდის მრავალი ქვეყნის კანონებში.

არსებული კანონები ბავშვთა და მოზარდთა შორის სასჯელის თანაბარ პასუხისმგებლობას და სასამართლოს წინაშე წარდგენისას ერთი და იმავე პროცედურებს ითვალისწინებდა.

არასრულწლოვანთა სამართლიანობის ორბიტის მძიმე ისტორიული წარსულის გაცნობით, შესაძლებელია აღინიშნოს მთავარი: ამ მნიშვნელოვანი ფაქტის უგულებელყოფამ გამოიწვია ის ფაქტი, რომ რომის კანონი და მოგვიანებით შუა საუკუნეების ისტორიული და სამართლებრივი ძეგლები და „ახალი დროების“ კანონებიც კი, ბავშვებისა და მოზარდებისათვის ითვალისწინებდა სასამართლოსა და კანონის წინაშე ძალიან შეზღუდულ დაცვას. ეს ხდებოდა იმის გამო, რომ ყველა დროის ბავშვები, რომლებიც გახდნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ჩამოყალიბების წინაპირობა, მიიჩნეოდნენ ფიზიკურად და გონებრივად არასრულყოფილად, მაგრამ ზრდასრულებად.

**თავი III არასრულწლოვანთა სასჯელი, მისი სახეები და დანიშვნის
თავისებურებები
3.1 სასჯელის ცნება**

არასრულწლოვანთა სასჯელის საკითხების განხილვამდე, მნიშვნელოვანია განიმარტოს ზოგადად სასჯელიც ცნება.

დანაშაული და სასჯელი, ეს ორი ურთიერთ-საპირისპირო ცნებებია. ადამიანი სჩადის დანაშაულს, რითაც უპირისპირდება საზოგადოებას, სახელმწიფოს, ხოლო სახელმწიფო მის მიმართ იყენებს ღონისძიებას, რომელიც დანაშაულის უფლებებს ზღუდავს. (გამყრელიძე ო., 2013) მაშასადამე, დანაშაულის ჩადენა წარმოადგენს სასჯელის დანიშვნის საფუძველს.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იძლევა სასჯელის ცნებას. სასჯელი განმარტებულია სისხლის სამართლის თეორიაში. (ვარძელაშვილი ი., 2016)

ამდენად, სასჯელს ერთ-ერთი ადგილი უჭირავს, როგორც სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ისე თეორიაში. ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, ვინაიდან სასჯელი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ღონისძიებაა.

სასჯელი, ისევე როგორც დანაშაული გათვალისწინებულია კანონში. სისხლის სამართლის კანონის პრაქტიკული მოქმედებისა და გამოყენების გარეშე, დანაშაულის ცნება დაკარგავდა თავის მნიშვნელობას. (ქათამაძე მ., 2004)

სასჯელი ერთ-ერთი ის ღონისძიებაა, რომელიც სისხლის სამართალში გამოიყენება.

სასჯელის დეფინიცია ჩამოაყალიბა 1996 წლის რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსმა. ამავე კოდექსის 43-ე მუხლში მითითებულია: „სასჯელი არის სახელმწიფოებრივი იძულების ღონისძიება, რომელსაც ნიშნავს სასამართლო დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, რომელიც ცნობილია ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში და მთავრდება იმით, რომ ამ პირს ეზღუდება უფლებები და თავისუფლებები სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. (Курс уголовного права, 2002)

„სასჯელი როგორც სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება – ვკითხულობთ 1966 წელს მოსკოვში გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში – გამოიყენება სასამართლოს განაჩენით იმ პირის მიმართ, ვინც დანაშაული ჩაიდინა, მისი გამოსწორების და ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით, როგორც დამნაშავის, ისე სხვების მხრიდან“. (Магомедов Д. О. Хан, 1966). როგორც ვხედავთ, აქ სასჯელის ორი ნიშანია გამოკვეთილი. პირველი ის, რომ სასჯელი არის იძულებითი ღონისძიება, რომელსაც სასამართლო იყენებს დამნაშავის მიმართ. მეორე ნიშანია ამ ღონისძიების მიზნები. (გამყრელიძე ო., 2013)

სასჯელის ცნება შეზღუდულად არის განსაზღვრული ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში. ამის ნიმუშს წარმოადგენს 2007 წელს გამოცემული „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ (სახელმძღვანელო). აქ ვკითხულობთ: *„ამრიგად, სასჯელის ცნება ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ასე განვსაზღვროთ: სასჯელი არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც ინიშნება სასამართლოს განაჩენით და შეეფარდება დანაშაულის ჩამდენ პირს და*

გამოიხატება ამ პირისათვის სსკ-ით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლების ჩამორთმევით ან შეზღუდვით”. (ტყეშელიაძე, გ., 2007)

დაახლოებით ასევე განსაზღვრავს სასჯელის ცნებას ირაკლი დვალიძეც. „ამრიგად, სასჯელი არის სახელმწიფოს იძულებითი ღონისძიება, რომელიც საქართველოს სახელით ინიშნება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით დანაშაულის ჩადენისათვის...”. (დვალიაძე ი., 2013)

ზ. გოთუას აზრით, სისხლისსამართლებრივი სასჯელი არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო იძულების ღონისძიება, რომელიც სასამართლოს განაჩენით გამოიყენება დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის მიმართ. იგი დასჯაა, რომელიც მსჯავრდებულისათვის კანონით განსაზღვრულ უფლებებისა და თავისუფლებების ჩამორთმევასთან ან შეზღუდვასთან ერთად გარკვეული ტანჯვის მიყენებასაც გულისხმობს. (გოთუა ზ., 2001)

სასჯელი, როგორც სამართლებრივი იძულების ერთ-ერთი სახე, მიზნად ისახავს სამართლიანობის აღდგენას, ანუ დარღვეულის აღდგენაში გამოიხატება. პირველ რიგში უნდა ვიგულისხმოთ, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტამდე, იმ ადგილას, სადაც დანაშაულია ჩადენილი, არსებობდა სამართლიანობა. დანაშაული არღვევს ამ სამართლიანობას, ამიტომ სასამართლო მისი აღდგენისათვის ბრალეულ პირს უნიშნავს სასჯელს. (ქათამაძე მ., 2004)

სასჯელი წარმოადგენს სისხლის სამართლის მნიშვნელოვან ნაწილს. იგი არის სახელმწიფოს ყველაზე მკაცრი და მჭრელი იარაღი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. სასჯელი არის ბრალზე დამოკიდებული სანქცია. (Baumann J. 1995)

სასჯელი ბოროტებაა, შურისძიებაა, რომელიც გამოიხატება სამართლებრივი ნორმის დარღვევით გამოწვეული ზიანის იძულებით ანაზღაურებაში. (Norbert Hoerster, 2012)

სასჯელი არის სახელმწიფოს რეაქცია დანაშაულზე ბოროტების დაკისრების მეშვეობით. (Kazushige D., 2011)

როგორც ვხედავთ, სასჯელის სხვადასხვაგვარი განმარტება არსებობს. ფრანც ლისტის მოსაზრებით სასჯელი არის ორად გაჭრილი ხმალი: „სამართლებრივი სიკეთის დაცვა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მეშვეობით“. (Baurmann M., 1990)

ერთ-ერთი ავტორი იოჰანეს ბიულერი მიუთითებს, რომ სასჯელი არის ძალადობა (კარგი ძალადობა), რომელიც უნდა იყოს სწორი, გამართლებული და ლეგიტიმური. (Bühler J., 2007)

მაშასადამე, სასჯელი წარმოადგენს სახელმწიფოს რეაქციას ჩადენილ დანაშაულზე. იგი სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიებაა. განსაკუთრებულია იმიტომ, რომ იგი იძულებითი ხასიათისაა. იგი მხოლოდ ისეთი ქმედებისათვის შეიძლება დაინიშნოს, რომელიც მიჩნეულია სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულად. სასჯელი მხოლოდ სასამართლოს განაჩენით შეიძლება დაინიშნოს. (ქათამაძე მ., 2004)

სისხლის სამართლებრივ სასჯელს გააჩნია ორი ნიშანი: 1. დამნაშავის უფლების შეზღუდვა, რომელიც კანონმდებლის მიერ დადგენილ წესს ექვემდებარება და 2. ამ უფლებების შეზღუდვის მიზნები, რომლებიც ასევე კანონითაა დადგენილი.

თუმცა აქცე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც მოსამართლე დამნაშავეს აკისრებს პასუხისმგებლობას, რაც ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, მის გაკიცხვას. ვინაიდან გაკიცხვა მოსამართლის მხრიდან დამნაშავის ქცევის უარყოფითი შეფასებაა, ეს იმას ნიშნავს, რომ გაკიცხვა სასჯელის ერთ-ერთი ნიშანია.

სასჯელის ნიშნების განხილვისას გაკიცხვის მნიშვნელობაზე საუბრობს პროფ. ო. გამყრელიძეც. იგი წერს: „სასჯელი არის მოსამართლის მიერ დამნაშავის გაკიცხვა, რომელიც მისი (დამნაშავის) უფლებების მიზანმიმართული შეზღუდვის საფუძველია. გაკიცხვა, საყვედური, ესე იგი დამნაშავის ქცევის უარყოფითი შეფასება სასჯელის აუცილებელი ნიშანია. დამნაშავის დასჯა მისი ქცევის გაკიცხვაა. (გამყრელიძე ო., 2013)

ყოველივე ზემოთქმულიდან კი შესაძლებელია სასჯელის ზუსტი ცნების განსაზღვრა: „სასჯელი არის მოსამართლის მიერ დამნაშავის გაკიცხვა, რომელიც მისი (დამნაშავის) უფლებების მიზანმიმართული შეზღუდვის საფუძველია“. გაკიცხვა, საყვედური, ესე იგი დამნაშავის ქცევის უარყოფითი შეფასება სასჯელის აუცილებელი ნიშანია. დამნაშავის დასჯა მისი ქცევის გაკიცხვაა. (გამყრელიძე ო., 2013)

3.2 არასრულწლოანთა სასჯელის მიზნები

სანამ მომდევნო ქვეთავში არასრულწლოვანთა სასჯელი სახეებს განვიხილავდეთ, თავდაპირველად განვსაზღვროთ არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნები.

არასრულწლოვნის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის თავისებურებანი განსხვავდება სრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან მთელი რიგი გარემოებებით. (ვარძელაშვილი ი., 2016)

სრულწლოვანთა სასჯელის მიზნები სსკ-ს 39-ე მუხლში იერარქიულად სხვაგვარად არის დალაგებული, ვიდრე ამკ-ს 65-ე მუხლში, კერძოდ სსკ-ს 39-ე მუხლში ჯერ სამართლიანობის აღდგენაა, შემდეგ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, ხოლო ბოლოს მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. (შალიკაშვილი მ., 2016)

იქიდან გამომდინარე, რომ როგორც უკვე აღინიშნა სრულწლოვანთა და არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები განსხვავებულია, სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი (სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი), აღარ გვხვდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში. აღნიშნული გამომწვეულია იმით, რომ სამართლიანობის აღდგენა ხშირად გაიგივებულია სამაგიეროს

მიზღვასთან. ხოლო სამაგიეროს მიზღვა არ შეიძლება იყოს სასჯელის მიზანი, მითუმეტეს, როცა საქმე არასრულწლოვანს ეხება. ამასთან, შეიცვალა სასჯელის მიზნების რიგითობაც. თუკი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის პირველ მიზნად გათვალისწინებულია სამართლიანობის აღდგენა, შემდეგ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და ბოლოს დამნაშავის რესოციალიზაცია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, პირველ ადგილზეა არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და შემდგომ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. (ვარძელაშვილი ი., 2016)

მაშასადამე არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს.

ამკ-ს 65-ე მუხლის თანახმად, „არასრულწლოვანისთვის სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება“. (შალიკაშვილი მ., 2016)

რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია არის არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის გრძნობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება, არასრულწლოვნის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობა და მისი მომზადება საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად. (შალიკაშვილი მ., 2016)

არასრულწლოვნისთვის სასჯელი, პირველ რიგში, უნდა ემსახუროდეს მის აღზრდას. განვიხილოთ სასჯელის ეს ორი მიზანი სისხლისსამართლებრივ-კრიმინოლოგიური თვალთახედვით.

ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, როგორც სასჯელის მიზანი, შედგება სამი კომპონენტისაგან:

- 1) პოტენციური დამნაშავის დაშინება;
- 2) დამნაშავის საზოგადოებისაგან იზოლაცია და
- 3) (ციხის პირობებში) დამნაშავის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.

პოტენციური დამნაშავის დაშინება მიეკუთვნება ზოგად (გენერალური) პრევენციას და დაუშვებელია არასრულწლოვანის მიმართ იქნეს გამოყენებული, ანუ არ შეიძლება არასრულწლოვანის (სამაგალითოდ) დასჯა იმიტომ, რომ სხვამ აღარ ჩაიდინოს დანაშაული. (შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., ხასია, მ., 2014).

არასრულწლოვანის საზოგადოებისაგან იზოლაცია უნდა ჩაითვალოს ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მოკლევადიან პერსპექტივად, გრძელვადიანი პერსპექტივით აუცილებელია სწორედ არასრულწლოვანი დამნაშავის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, რათა მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული. (შალიკაშვილი მ., 2016)

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე საუბარი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის აღზრდას, სწორ სოციალიზაციას გულისხმობს. (Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014) მოზარდი, იმ ბიოლოგიურტესიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელსაც გარდატეხის პერიოდი ჰქვია, შეიძლება ჩაითვალოს არასრულად სოციალიზებულად (ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია მოზარდის პიროვნებაზე), რაც, როგორც აღინიშნა აღზრდას საჭიროებს და არა დასჯას. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში დიდი ხანია საუბარია იმაზე, თუ რა არის არასრულწლოვანთა სისხლის სამართალი – აღზრდის, თუ დასჯის. გერმანიის სისხლის სამართლის საქმეების უზენაესმა სასამართლომ (BGHST) პირდაპირ მიუთითა არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში აღზრდის უპირატესობაზე. (შალიკაშვილი მ., 2016) შესაბამისად, გერმანულ სისხლის სამართალში საუბარია არასრულწლოვანის (14-21 წელი) აღზრდაზე, ხოლო ზრდასრულების – დასჯაზე. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის აღზრდა გულისხმობს სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან, სოციალური კონტროლის მეშვეობით, ისეთი ხასიათის ღონისძიებების გამოყენებას, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნორმებს ასწავლის. (Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014)

სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი (სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი), აღარ გვხვდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში. რადგან, აღნიშნული გამონვეულია იმით, რომ სამართლიანობის აღდგენა ხშირად გაიგივებულია სამაგიეროს მიზლვასთან. ხოლო სამაგიეროს მიზლვა არ შეიძლება იყოს სასჯელის მიზანი, მითუმეტეს, როცა საქმე არასრულწლოვანს ეხება. ამასთან, შეიცვალა სასჯელის მიზნების რიგითობაც. თუკი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის პირველ მიზნად გათვალისწინებულია სამართლიანობის აღდგენა, შემდეგ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და ბოლოს დამნაშავის რესოციალიზაცია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, პირველ ადგილზეა არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და შემდგომ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნულს არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია, ვინაიდან რესოციალიზაცია სასჯელის უმთავრესი მიზანია, როგორც არასრულწლოვნებთან, ისე სრულწლოვნებთან მიმართებით. (ვარძელაშვილი ი., 2016)

3.3 არასრულწლოვანთა სასჯელის სახეები

არასრულწლოვნების პერიოდი ადამიანის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი დროა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მის მომავალზე. შესაბამისად, კანონმდებლობა უნდა იყოს იმდენად დახვეწილი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, რომ ამ ასაკში ჩადენილმა დანაშაულმა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩაიაროს პირის ცხოვრებაში. პირიქით, ეს გახდეს მაგალითი, რომ არასდროს დაუშვას ის შეცდომა, რის გამოც იქნა მსჯავრდებული. (ივანიძე მ., 2017)

ყოველივე ამ გარემოების გათვალისწინებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განსაკუთრებული როლი სასჯელებს აკისრია. ახალმა კოდექსმა ალტერნატიული სასჯელის სახეები შემოგვთავაზა, მათ შორის

სრულიად ახალი სასჯელის სახეა შინაპატიმრობა, რომელიც 2015 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა. (მახარობლიძე თ., 2007)

საქართველოს სსკ 81-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვან დამნაშავეს შეიძლება დაენიშნოს სასჯელი ან აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება. (სსსკ 91-ე მუხლი, ნაწ. 1) საქართველოს სსკ 82-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანი დამნაშავისათვის დასანიშნი სასჯელის სახეებია:

ჯარიმა; საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; გამასწორებელი სამუშაო; თავისუფლების შეზღუდვა; ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. (შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., 2011)

სასჯელთა ამ სახეებიდან კანონმდებელი არ აკონკრეტებს, თუ რომელია ძირითადი სასჯელი და რომელი დამატებითი. თუმცა ძირითადი და დამატებითი სასჯელები განმარტებულია სსკ 41-ე მუხლით და ნათქვამია, რომ ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელებად. დანარჩენი კი ძირითადი სასჯელებია. (შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., 2011)

ამკ-ს 68-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვან დამნაშავეს შეიძლება დაენიშნოს სასჯელის შემდეგი სახეები: ა) ჯარიმა; ბ) შინაპატიმრობა; გ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; დ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; ე) თავისუფლების შეზღუდვა; ვ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. (შალიკაშვილი მ., 2016)

ჯარიმა.

საქართველოს სსკ 42-ე მუხლის თანახმად, ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი, რომლის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი, ხოლო თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები. (შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., 2011)

ამავე მუხლის მე-5¹ ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანია და გადახდისუუნარო, სასამართლო ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. (შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., 2011)

საქართველოს სსკ 39-ე მუხლით გათვალისწინებულ სასჯელის მიზანთა შორის, არასრულწლოვანთა ზემოთ განხილული მდგომარეობის გათვალისწინებით, მოზარდისათვის სასჯელის (მათ შორის ჯარიმის) დაკისრების უპირველესი მიზანი უნდა იყოს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია. შესაბამისად, ჯარიმამ არ უნდა გამოიწვიოს მოზარდის ეკონომიკური მდგომარეობის ისე გაუარესება, რომ მან ჯარიმით მიყენებული ზარალი „ანაზღაუროს“ (კომპენსაცია) სხვა (უფრო საშიში) დანაშაულის ჩადენით. (Eisenberg, U., 2006)

2006 წლის 29 დეკემბერს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლს დაემატა მე-5¹ ნაწილი, რომლის მიხედვითაც, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანია და გადახდისუუნარო, სასამართლო ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს.

შინაპატიმრობა/ელექტრონული ზედამხედველობა

ამკ-ს 69-ე მუხლის თანახმად, 1. შინაპატიმრობა ნიშნავს არასრულწლოვნისთვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას. 2. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ენიშნება 6 თვიდან 1 წლამდე ვადით. 3. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. 4. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს. 5. შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. (შალიკაშვილი მ., 2016)

ელექტრონული ზედამხედველობა გულისხმობს ელექტრონული აპარატურის საშუალებით მსჯავრდებულის კონტროლს, ხოლო სასჯელის სახით შინაპატიმრობის გამოყენებისას – სასამართლოს მიერ დადგენილ პერიოდში ელექტრონული აპარატურის გამოყენებით მსჯავრდებულის საცხოვრებელ

ადგილზე ყოფნის უწყვეტ კონტროლს. (შალიკაშვილი მ., 2016) განასხვავებენ შინაპატიმრობის სამ ფორმას: (Schneider, K., 2003)

Curfew (მსუბუქი ფორმა) – თავისუფლების შეზღუდვის ამ ფორმის დროს დამნაშავე ვალდებულია წინასწარ განსაზღვრული დროის მონაკვეთში სახლში იმყოფებოდეს. ამ ფორმის გამოყენების დროს ძირითადი აკრძალვები მოდის ღამის საათებზე. ამ ფორმის გამოყენება ხდება თერაპიულ კურსზე სიარულის ან ჯარიმის გამოყენებასთან ერთად;

Home Detention (ნაკლებად მძიმე ფორმა) – შინაპატიმრობის პირველ ფორმასთან შედარებით ეს ფორმა უფრო მკაცრია. შინაპატიმრობის ამ ფორმის დროს მისტილი ვალდებულია იყოს სახლში. გამონაკლისია სწავლის, სამუშაოს ან თერაპიულ კურსზე სიარული. წინასწარ დადგენილი გეგმის მიხედვით მსჯავრდებულს უფლება აქვს სახლი დატოვოს.

Home Incarceration (მძიმე ფორმა) – შინაპატიმრობის ამ ფორმის დროს მისტილს უფლება არა აქვს სახლი დატოვოს. სახლი არის ციხე. ასეთ მსჯავრდებულს არ შეუძლია არც სახლიდან გასვლა, არც მუშაობა და არც სტუმრების მიღება.

ამკ-ს 69-ე მუხლის მეოთხე ნაწილის ჩანაწერი აშკარად მიუთითებს, რომ საქართველოში ადგილი ექნება შინაპატიმრობის Curfew ან Home Detention – ფორმის გამოყენებას, ანუ არასრულწლოვანს უფლება ექნება შინაპატიმრობის პირობებშიც იმუშაოს და ისწავლოს.

შინაპატიმრობის შემოღებას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითია ის, რომ მისი გამოყენების ღირებულება უფრო იატია, ვიდრე სხვა სასჯელი და ხელს უწყობს დამნაშავეობის მონიტორინგს. (არსოშვილი, გ./ მიქანაძე, გ./ შალიკაშვილი, მ., 2015). გარდა ამისა, ციხის სიტუაციასთან შედარებით მსჯავრდებულს აღარ უწევს კრიმინალური მენტალობის ადამიანებთან ურთიერთობა ციხეში და სოციალური უნარ-ჩვევების დავიწყება, აღარ არის იზოლირებული საკუთარი ოჯახისაგან. (Wittstamm, K., 1999.)

ელექტრონული მონიტორინგის ქვეშ შინაპატიმრობის განხორციელებას გააჩნია პრობლემები. კერძოდ: (არსოშვილი, გ./ მიქანაძე, გ./ შალიკაშვილი, მ., 2015)

კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებული პიროვნების განვითარების ხელის შეშლის (სტიგმატიზაციის) და ოჯახურ სფეროში ჩარევის საკითხი.

ელექტრონული მონიტორინგის პირობებში მსჯავრდებულს ხელზე ან ფეხზე უკეთია ელექტრონული მონაცემილობა, ეს კი იძლევა იმის საშუალებას (განსაკუთრებით ზატყხულის პერიოდში), რომ იგი იდენტიფიცირებულ იქნეს სხვა ადამიანების მიერ როგორც სამართალდამრღვევი, რაც, თავის მხრივ, ზრდის მისი სტიგმატიზაციის რისკს. მსჯავრდებულის სტიგმატიზაცია ზღუდავს მის კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებულ უფლებას პიროვნების განვითარების შესახებ. (შალიკაშვილი მ., 2016)

ელექტრონული მონიტორინგის დადებითი მხარე არის ის, რომ მისი გამოყენების დროს მსჯავრდებული ხვდება თუ არ უნდა გააკეთოს, რომ მასზედ კონტროლი მიმდინარეობს, და რომ მისი ყოველი გადაადგილების შესახებ სპეციალური ორგანოები არიან ინფორმირებული და შეთანხმების დარღვევის შემთხვევის ფაქტებს აუცილებლად გაიგებენ. (Schneider, K., 2003.). აღნიშნულმა დამოკიდებულებამ მსჯავრდებული შესაძლებელია ნორმების დაცვა ასწავლოს და მისი აღზრდა გამოიწვიოს. ამ მხრივ სწორად არის განსაზღვრული ამკ-ს მიერ შინაპატიმრობის ვადები 6 თვიდან ერთ წლამდე. (შალიკაშვილი მ., 2016)

საქმიანობის უფლების ჩამორთმევა

ამკ-ს 70-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ენიშნება ერთი წლიდან სამ წლამდე ვადით. ზოგადად, ეს სასჯელის სახე არასრულწლოვანის მიმართ სიტყვითი უნდა იქნეს გამოყენებული. თუ არასრულწლოვანი დასაქმებულია, სასჯელის ამ ფორმის გამოყენებამ იგი ფინანსური და სოციალური პრობლემების წინაშე არ უნდა დააყენოს. პრობა და დასაქმება არის კანონდამრღვევის მიმართ გასატარებელი ღონისძიება და არა პირიქით, კანონდამრღვევს აეკრძალოს გარკვეული საქმიანობის შესრულება. პრობამ უნდა გააკეთილშობილოს იგი. (შალიკაშვილი მ., 2016)

საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მოზარდის მიერ ჩადენილ დანაშაულთან, მაგალითად, მოზარდი, რომელიც მჭედელია და ამ საქმიანობას სისტემატიურად იყენებს საცხოვრებელი სახლების კარის გასაღები ე.წ. ატმეჩკების დასამზადებლად, შესაძლებელია აეკრძალოს სამჭედლო საქმიანობის განხორციელება. (შალიკაშვილი მ., 2016)

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

ამკ-ს 71-ე მუხლი ეხება არასრულწლოვნის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას.

არასრულწლოვანმა სასჯელის (მათ შორის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის) აღსრულების პროცესში მაქსიმალურად უნდა გააცნობიეროს მისი დანაშაულებრივი ქმედების სოციალური არსი. (შალიკაშვილი მ., 2016)

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის არსი პირველ რიგში უნდა იყოს ის, რომ ასეთმა შრომამ არასრულწლოვნზე ნეგატიურად არ უნდა იმოქმედოს და აღმზრდელობითი ხასიათის მატარებელი იყოს. ახალი ამკ-ს 71-ე მუხლის მე-4 ნაწილი ამას სასურველად მიიჩნევს და არა სავალდებულოდ. არასრულწლოვანის სამუშაო სათანადოდ უნდა იყოს აღიარებული, რომ არასრულწლოვანმა დაინახოს მუშაობის პრიორიტეტულობა, რომლითაც იგი შეძლებს მომავალში არადანაშაულებრივი, დამოუკიდებელი და პატიოსანი ცხოვრების პერიოდში არსებობას. (შვაბე, იურ., 2011) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ვალდებულებითა და შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებით არასრულწლოვანმა უნდა მიიღოს დადებითი პირადი გამოცდილება მუშაობასთან დაკავშირებით. (შვაბე, იურ., 2011) შრომამ ხელი უნდა შეუწყოს მოზარდში დადებითი თვისებების ჩამოყალიბებას. (დვალიძე, ირ., 2013)

თავისუფლების შეზღუდვა

ამკ-ს 72-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვის მაქსიმალური ვადა 3 წელია.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 30 დეკემბრის №373 ბრძანებით დამტკიცდა

თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ტიპური დებულება. მოცემული დებულების თანახმად, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პრობაციის ტერიტორიულ ორგანოს. (შალიკაშვილი მ., 2016)

თავისუფლების აღკვეთა

თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა დემოკრატიულ საზოგადოებაში კონვენციის გამომხატველობის ფარგლებში. (ქვრივიშვილი თ., 2017) მისი საკვანძო მიზანი თვითნებობისა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის პრევენციაა. (ქვრივიშვილი თ., 2017) პიროვნებისთვის თავისუფლების აღკვეთით იზღუდება არა მხოლოდ პიროვნების გადაადგილების თავისუფლება, არამედ ასევე მისი თავისუფალი ნება, აწარმოოს და განავითაროს ურთიერთობები ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან. აშკარაა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების ან გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე პირისთვის თავისუფლების აღკვეთა ავტომატურად ზღუდავს პატიმრობაში მყოფი ადამიანის კავშირს გარე სამყაროსთან. (ქვრივიშვილი თ., 2017)

საერთაშორისო სამართალში არაინსტიტუციურ მიდგომებს ინსტიტუციურ მიდგომებთან შედარებით უპირატესობა ენიჭება, რაც გულისხმობს, რომ ბავშვებისთვის თავისუფლების აღკვეთა აკრძალული არ არის, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ უკიდურეს ღონისძიებად გამოიყენება. (შაჰოვიჩი, ნ.ვ./დოეკი, ი.ე./ცერმატენი, უ., 2012; შალიკაშვილი მ., 2016)

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, არც ერთ ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად. ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად და განიხილება, როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა, რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში. ეს უმნიშვნელოვანესი ნორმა-პრინციპი –

არასრულწლოვნის პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება, მრავალ საერთაშორისო აქტშია განმტკიცებული; როგორცაა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლება აღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (ე.წ. „პეკინის წესები“), გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ და სხვ. (ქვრივიშვილი თ., 2017)

ანალოგიურ მიდგომას ითვალისწინებს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-9 მუხლიც, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით არის შესაძლებელი. ამასთან, არასრულწლოვნის დაკავება და დაპატიმრება, მისთვის თავისუფლების შეზღუდვა და თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული. (ქვრივიშვილი თ., 2017)

3.4 არასრულწლოვანთა სასჯელის შეფარდების საკითხები

სასჯელის დანესება სახელმწიფოს განსაკუთრებულ უფლებას წარმოადგენს. სასჯელი არის რა იძულებითი ღონისძიება, ინიშნება სახელმწიფოს სახელით და მხოლოდ სასამართლოს განაჩენით. კანონიერ ძალაში შესული განაჩენი სავალდებულოა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებებისა, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის. (კვირკველია კ., 2004)

შესაბამისად, სასჯელის დანიშვნა სისხლის სამართლის მნიშვნელოვანი საკითხია. სასჯელის დანიშვნა მოსამართლის ისეთი საპასუხისმგებლო მოვალეობაა, რომ სწორედ ამ პროცესში ვლინდება მისი სამართალშემოქმედებითი ხასიათი, რომელზეც, საბოლოო ჯამში ადამიანის ბედია დამოკიდებული.

სასჯელის სწორად დანიშვნამ საზოგადოების თითოეულ წევრს სამართლიანობის განცდა უნდა ჩამოუყალიბოს. სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასჯელის მიზნები, მისი დანიშვნის ზოგადი საწყისები. ეს პროცესი განსაკუთრებულ სპეციფიკას მოითხოვს არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნისას, რომლის დროსაც, ჩამოთვლილ გარემოებებთან ერთად, მხედველობაშია მისაღები დამნაშავეს ასაკი. იგი ხომ სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. საქართველოში კი ის 14 წლიდან იწყება. (ივანიძე მ., 2017)

სასჯელის დანიშვნამ საქართველოს კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებები განიცადა. 1960 წელს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის ასაკი, სასჯელის მიზნები, სასჯელის სახეები და მათი დანიშვნის წესი თავისებური ხასიათის იყო და არსებული სინამდვილიდან გამომდინარეობდა. (ივანიძე მ., 2017)

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საერთო ასაკი მაშინ 16 წელი იყო. 14-დან 16 წლამდე ასაკის პირებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ისეთი დანაშაულისათვის ეკისრებოდათ, როგორცაა მკვლელობა, სხეულის განზრახ დაზიანება, გაუპატიურება, ქურდობა, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებადი ნივთიერების გატაცება და მთელი რიგი ისეთი ქმედებები, რომლის გაცნობიერებაც (სხვადასხვა სპეციალისტის შეხედულებით) 14-დან 16 წლის პირს შეეძლო. (ივანიძე მ., 2017)

იმ პირთა მიმართ, ვინც დანაშაულს 18 წლის ასაკამდე ჩაიდენდა და მოსამართლის შეფასებით დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენდა, შესაძლებელი გახლდათ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების

გამოყენება, რაც სისხლისსამართლის სასჯელს არ წარმოადგენდა. ეს ყოველივე სისხლის სამართლის ცალკე მუხლით (64-ე მუხლი) – არასრულწლოვანთა მიმართ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებათა გამოყენებით – რეგულირდებოდა. (ივანიძე მ., 2017)

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებამდე არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნა ამ მიზნების შესაბამისი უნდა ყოფილიყო. ახალმა კოდექსმა სასჯელის მიზნები ახლებურად განსაზღვრა, რაც უკვე განხილულ იქნა ქვეთავში არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნები.

არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნის დროს მოსამართლეს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებთან ერთად მხედველობაში უნდა მიეღო პირის ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, ფსიქიკური განვითარების დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სხვა პიროვნული თავისებურებანი, მასზე ასაკით უფროსი პირის ზეგავლენა. კანონმდებელი არ სჯერდებოდა იმ გარემოებებს, რაც 53-ე მუხლში იყო მოცემული და ცალკე გამოყოფდა არასრულწლოვან დამნაშავესათვის სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებულ დამატებით რეკომენდაციებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი კი სასჯელის დანიშვნისას სასამართლოს მხედველობაში მისაღებად შემდეგ გარემოებებს უთითებს, კერძოდ, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავეს წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ქმედების ჩადენის შემდეგ დამნაშავეს ყოფაქცევა, განსაკუთრებით პირის მისწრაფება, აანაზღაუროს ზიანი და შეურიგდეს დაზარალებულს. (ივანიძე მ., 2017)

რაც შეეხება უშუალოდ არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე მუხლის

შესაბამისად, მოსამართლემ პირველ რიგში მისი საუკეთესო ინტერესები და მისი ინდივიდუალური შეფასების ანგარიში უნდა გაითვალისწინოს.

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესი ნიშნავს თითოეული არასრულწლოვნის უსაფრთხოებას, კეთილდღეობას, ჯანმრთელობის დაცვას, განათლებას, განვითარებას, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და სხვა ინტერესებს, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება. (ივანიძე მ., 2017)

არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელი გამოყენებულ და შერჩეულ უნდა იქნეს ინდივიდუალურად, მისი პიროვნების, ოჯახური, სოციალური და მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით და იგი (სასჯელი) უნდა ემსახუროდეს დამნაშავე მოზარდის აღზრდას. (Eisenberg, U., 2006).

არასრულწლოვნებისათვის სასჯელის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას უნდა გამოირიცხოს ზოგადი (გენერალური) პრევენციის გამოყენება და გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ სასჯელის სპეციალური (ინდივიდუალური) პრევენცია, (Diemer, H./Schoreit, A. /Sonnen, B-R, 2006) რომლის მიზანია:

მოზარდი დამნაშავეს რესოციალიზაცია, რათა მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული და იგი საზოგადოებაში დაბრუნდეს, როგორც მისი სრულფასოვანი წევრი (პოზიტიური სპეციალური პრევენცია);

მოზარდისათვის სასჯელის უკიდურესი ფორმა, თავისუფლების აღკვეთა, რომლის მიზანია საზოგადოების დაცვა დამნაშავესაგან და გულისხმობს მოზარდის გარკვეული პერიოდით იზოლირებას, რათა აღკვეთილ იქნეს მის მიერ დანაშაულის ჩადენა ახლო მომავალში (ნეგატიური სპეციალური პრევენცია). (დვალაძე ი., 2013)

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 67-ე მუხლი განსაზღვრავს არასრულწლოვნის მიმართ ძირითადი და დამატებითი სასჯელების გამოყენების თავისებურებას. კერძოდ, არასრულწლოვანს თავისუფლების შეზღუდვა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ ძირითად

სასჯელად, ხოლო ჯარიმა, შინაპატიმრობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება დაენიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ამავე დროს ძირითად სასჯელთან ერთად შეიძლება მხოლოდ ერთი დამატებითი სასჯელის დანიშვნა და არასრულწლოვანს სასჯელთან ერთად შეიძლება დაენიშნოს ამკ-ს 42-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ღონისძიება.

ამკ აღარ ითვალისწინებს საქართველოს სს კოდექსით გათვალისწინებულ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას. აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების ნაწილი გათვალისწინებულ იქნა ამკ-ს 45-ე მუხლში, როგორც არასრულწლოვნის განრიდების მოვალეობა. (შალიკაშვილი მ., 2016)

არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე იყენებს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს. მაშასადამე, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასებისა და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. (ივანიძე მ., 2017)

ჯარიმის დანიშვნა.

ამკ-ს 68-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნისთვის ჯარიმის დანიშვნისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი მინიმალური ოდენობა ნახევრდება. საქართველოს სსკ 42-ე მუხლი ეხება ჯარიმის საკითხს. ამ მუხლის მიხედვით ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი, რომლის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი, ხოლო თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები. ამკ-ს 68-ე მუხლის მეორე ნაწილის და სსკ-ის 42-ე მუხლით განმარტებით დგინდება, რომ

არასრულწლოვნისათვის ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 1000 ლარი, ხოლო თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 250 ლარზე ნაკლები. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროექტში მოხდება მხოლოდ სრულწლოვნისათვის სსკ-ის 42-ე მუხლით დაწესებული 2000 ლარის 1000 ლარამდე შემცირება და არ მოხდება სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთის ვადის შემთხვევაში სსკ-ის 42-ე მუხლით დაწესებული 500 ლარიანი ჯარიმის 250 ლარამდე შემცირება, ადგილი ექნება სრულწლოვანი მსჯავრდებულების არასრულწლოვანებთან მიმართებით უკეთეს მდგომარეობაში ჩაყენებას¹, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურების ზოგად პრინციპებთან არ მოვა შესაბამისობაში. (შალიკაშვილი მ., 2016)

არც სსკ-ის 42-ე მუხლი და შესაბამისად, არც ამკ-ს 68-ე მუხლი არ ადგენენ ჯარიმის, როგორც სასჯელის ოდენობის მაქსიმალურ ზღვარს. აღნიშნული ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან კანონის განსაზღვრულობის პრინციპს, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში სამართლებრივ სტაბილურობას. კანონის განსაზღვრულობის პრინციპის მიხედვით, „ქმედება შესაძლებელია, დაისაჯოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი დასჯადობა კანონით განსაზღვრული იყო მანამ, სანამ პირი ამ ქმედებას ჩაიდენდა. აღნიშნული კანონმდებელს ავალდებულებს, ისე ზუსტად ჩამოაყალიბოს დასჯადობის წინაპირობები, რომ მისი ფაქტობრივი ელემენტების დანიშნულება და გამოყენების სფერო ნორმის ადრესატისათვის თვითონ კანონიდან გამომდინარე იყოს ნათელი და არა – მისი განმარტებებისა თუ სხვაგვარი დაკონკრეტების მეშვეობით“. (შვაბე, იურ., 2011)

¹ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სრულწლოვნის მიმართ შესაძლებელი იქნება 500 ლარის ჯარიმის სახით დაკისრება, როცა იგივე სახის დანაშაულისათვის არასრულწლოვანს უნდა დაეკისროს არანაკლებ 1000 ლარისა.

ზემოაღნიშნულის თანახმად, სსკ-ის 42-ე მუხლი და შესაბამისად, ამკ-ს 68-ე მუხლი შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს კანონის განსაზღვრულობის პრინციპს, ვინაიდან არ ადგენენ ჯარიმის მაქსიმალური ოდენობის კონკრეტულ ზღვარს და ბრალდებულს არ შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს თუ რა ზომის სასჯელი (რა ოდენობის ფულადი ჯარიმა) შეიძლება მას დაეკისროს კონკრეტული ქმედების ჩადენის გამო. (შალიკაშვილი მ., 2016)

ჯარიმის შეფარდების დროს აუცილებელია გათვალისწინებული იყოს არასრულწლოვანის ეკონომიკური მდგომარეობა, ბრალეულობის ხარისხი და მიყენებული ზიანის პროპორციულობა. (Meier, B-D./Rössner, D./Schöch, H., 2013) ჯარიმის ოდენობა იმ შემთხვევაშია უკანონო, როდესაც აშკარაა შეუსაბამობა არასრულწლოვანის ეკონომიკურ მდგომარეობასა, ბრალეულობის ხარისხსა და შეფარდებულ ჯარიმის ოდენობას შორის. (Diemer, H./Schatz, H, A. /Sonnen, B-R., 2011)

ამკ-ით გათვალისწინებულ სასჯელის მიზანთა შორის, არასრულწლოვანთა ზემოთ განხილული მდგომარეობის გათვალისწინებით, მოზარდისათვის სასჯელის (მათ შორის ჯარიმის) დაკისრების უპირველესი მიზანი უნდა იყოს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია. (შალიკაშვილი მ., 2016)

კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის ჭეშმარიტი ინტერესისთვის შესაძლებელი უნდა იყოს ჯარიმის ერთი გარკვეული ოდენობის ყოველთვიური გადახდა (პროცენტის დარიცხვის გარეშე), თუმცა აქაც გათვალისწინებული უნდა იყოს არასრულწლოვნის ეკონომიკური მდგომარეობა ბრალეულობის ხარისხი, და რაც უმთავრესია, ჯარიმამ როგორც სასჯელმა, აღმზრდელობითი ფუნქცია უნდა შეასრულოს. (Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R., 2014.).

ამკ-ს 68-ე მუხლი არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როცა არასრულწლოვანი ვერ/არ გადაიხდის მისთვის დაკისრებულ ჯარიმას. (შალიკაშვილი მ., 2016)

ელექტრონული ზედამხედველობის დანიშვნა.

„ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის #178 ბრძანება აწესრიგებს ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებას. (შალიკაშვილი მ., 2016)

ელექტრონული მონიტორინგი/ზედამხედველობის გამოყენების მცდელობა აშშ-ში (ჰარვარდის უნივერსიტეტში) პირველად 1964 წელს მოხდა. ფსიქოლოგი რალფ შვიტცგებელი (ღალპკ შუკნიტგებელი) ცდილობდა ელექტრონული ტექნიკის გამოყენებით სპეციალური პრევენციის გაძლიერებას და თვითკონტროლის ახალი მექანიზმის შექმნას. (Schneider, K., 2003.)

ელექტრონული მონიტორინგის გამოყენების წინაპირობები შეიძლება იყოს: (Lindenberg, M., 1999.) მისი მოკლევადიანი სასჯელის სახით გამოყენება; იგი არ უნდა იქნეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის დროს გამოყენებული; მსჯავრდებული, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნება ელექტრონული მონიტორინგი, არ უნდა იყოს ალკოჰოლზე ან ნარკოტიკზე დამოკიდებული; ამ დროს პირმა არ უნდა მიიღოს ალკოჰოლი ან ნარკოტიკი; მსჯავრდებული, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნება ელექტრონული მონიტორინგი, მინიმუმ ნახევარი დღის განმავლობაში დასაქმებული უნდა იყოს (პროფესიული სკოლა, სამსახური); დამსაქმებელი ინფორმირებული უნდა იყოს ელექტრონული მონიტორინგის გამოყენების შესახებ; შინაპატიმრობის დროს სახლის სხვა მაცხოვრებლებიც თანახმანი უნდა იყვნენ, რომ მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდეს ელექტრონული მონიტორინგი, ვინაიდან სახლის სხვა მაცხოვრებლებისთვის ელექტრონული მონიტორინგის აღსრულებამ შესაძლებელია მინიმუმ მათი დისკომფორტი გამოიწვიოს; მსჯავრდებული, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნება ელექტრონული მონიტორინგი, თანახმა უნდა იყოს, რომ მის მიმართ ასეთი სახის კონტროლი განხორციელდეს. (შალიკაშვილი მ., 2016)

ელექტრონული მონაცემების საშუალებით შესაძლებელია ადგილიჰქონდეს მსჯავრდებულის „პირადი ცხოვრების შინაარსისა და მისი დეტალების“ ისეთი სახით ჩვენებას, რაც მის სტიგმატიზაციას გამოიწვევს. შესაბამისად, საჭირო უნდა იყოს მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობა ელექტრონული მონაცემების სხეულზე დამაგრების დროს. შინაპატიმრობის დროს ელექტრონული მონიტორინგის საშუალებით შესაძლებელია, ასევე, ხდებოდეს პირადი ცხოვრების უფლების, ე.წ. პრაივისის უფლებაში ჩარევა. (შალიკაშვილი მ., 2016)

შინაპატიმრობის დროს ელექტრონული მონიტორინგის გამოყენებით შესაძლებელია დაირღვეს ოჯახის სხვა წევრების კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებული საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლება, რომელიც ინდივიდს (ოჯახის წევრებს) იცავს „საცხოვრებელში საჯარო ხელისუფლების როგორც ფიზიკური, ისე არაფიზიკური [ელ. საშუალებებით] შეღწევისგან“. (საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2015) სახელმწიფოს ჩარევა შეიძლება გამოიხატებოდეს არა მარტო ამ სფეროებში უხეში ჩარევით (მაგალითად, ოჯახური ან სხვა ურთიერთობებისათვის დაბრკოლებების შექმნით), არამედ თუნდაც ამ ურთიერთობების კონტროლითა და მათზე თვალყურის დევნებით. (საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2015) შინაპატიმრობის დროს ხდება ელექტრონული მონაცემების საშუალებით მონიტორინგის განხორციელება, რომელიც, თავის მხრივ, მსჯავრდებულის ოჯახის წევრებთან ურთიერთობის გარკვეულ კონტროლად (მაგ. მეუღლის მიერ მსჯავრდებულის მანქანით სამსახურში ტარება გამოიწვევს მეუღლის კონტროლსაც) შეიძლება იქნეს მიჩნეული. ასეთ შემთხვევაში პროპორციულობის პრინციპის გამოყენებით საჭიროა შემონმდეს რამდენად ირღვევა ელექტრონული მონიტორინგის საშუალების გამოყენებით ოჯახის სხვა წევრების პირადი ცხოვრების უფლება. (Schneider, K., 2003) ამგვარი დარღვევა თავიდან იქნება აცილებული, თუ ოჯახის წევრები თანხმობას განაცხადებენ მათი ოჯახის წევრის მიმართ შინაპატიმრობის გამოყენებაზე. (Schneider, K., 2003)

სასჯელის დანიშვნა - საქმიანობის უფლების ჩამორთმევა

ამკ-ს 70-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ენიშნება ერთი წლიდან სამ წლამდე ვადით. ზოგადად, ეს სასჯელის სახე არასრულწლოვანის მიმართ სიფრთხილით უნდა იქნეს გამოყენებული.

გერმანულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში 18-21 წლამდე მოზარდების მიმართ ხშირად გამოიყენება მართვის მონშობის ჩამორთმევა, რაც ქართული საკანონმდებლო მდგომარეობისათვის შეუძლებელია, ვინაიდან ამკ-სით 18-21 წლამდე მოზარდების მიმართ შესაძლებელია მხოლოდ განრიდების განხორციელება. (შალიკაშვილი მ., 2016)

საზოგადოებისთვის სასარგებლო შორმის დანიშვნა

ამკ-ს 71-ე მუხლის მიხედვით, 1. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ენიშნება 40-დან 300 საათამდე ვადით. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. 2. თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის ან მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება უფრო მეტი ვადითაც დაინიშნოს. დამატებით სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება უფრო ნაკლები ვადითაც დაინიშნოს. 3. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს. 4. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას სასურველია, არასრულწლოვანი მსჯავრდებული სამუშაოდ ისეთ ადგილზე გამწესდეს, სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისათვის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს. 5. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დამატებით სასჯელად შეიძლება დაენიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით სასჯელის სახედ გათვალისწინებული არ არის. (შალიკაშვილი მ., 2016)

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-33³ მუხლებით დადგენილი წესით ხდება

არასრულწლოვანისათვის სასჯელის სახით დაკისრებული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არა მხოლოდ არასრულწლოვნებს, სრულწლოვნებსაც ძალიან იშვიათად ეკისრებათ. ხშირია დამატებითი სასჯელის სახით მისი გამოყენების მაჩვენებელი. (შალიკაშვილი მ., 2016)

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების ერთ-ერთ ძირითად პრობლემად უნდა ჩაითვალოს პროკურატურის, სასამართლოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არაკოორდინირებულობა. კერძოდ, პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ხშირად პროკურორმა და მოსამართლემ არ იცის სად შეიძლება მოიხადოს პირმა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. (შალიკაშვილი მ., 2016)

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ანუ უსასყიდლო, ანაზღაურების გარეშე შრომა, 400 საათის ოდენობით. სსკ-ის 85-ე მუხლის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ვადა თხუთმეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის არ უნდა აღემატებოდეს დღეში ოთხ საათს, ხოლო თხუთმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნისათვის – დღეში ექვს საათს. (შალიკაშვილი მ., 2016)

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შრომის კოდექსის მეოთხე მუხლის დებულება, რომელიც არეგულირებს არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების საკითხებს. ამ მუხლის მეოთხე ნაწილი პირდაპირ მიუთითებს თუ სად არის მოზარდის შრომა აკრძალული: სათამაშო ბიზნესი, ღამის გასართობი დაწესებულება, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქცია, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადება, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება. გარდა ამისა, შრომითი ურთიერთობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ უნდა აყენებდეს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უნდა

უზღუდავდეს მას სავალდებულო დანყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. (შალიკაშვილი მ., 2016)

თავისუფლების შეზღუდვის დანყებულების ტიპური დებულების მიხედვით, თავისუფლების შეზღუდვის დანყებულების ამოცანებია: ა) თავისუფლების შეზღუდვის სახით დანიშნული/შეცვლილი სასჯელის აღსრულების უზრუნველყოფა; ბ) სარეაბილიტაციო პროგრამებში მსჯავრდებულთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; გ) დანყებულებაში მართლწესრიგისა და კანონიერების, მსჯავრდებულთა, პერსონალისა და დანყებულების ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა დ) მსჯავრდებულთა შრომითი დასაქმების ორგანიზება; ე) მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა. (შალიკაშვილი მ., 2016)

დღეს არსებული მდგომარეობით არსებობს თავისუფლების შეზღუდვის დანყებულება მხოლოდ სრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის. როგორც შიდა (პატიმრობის კოდექსის 50-ე მუხლი), ასევე საერთაშორისო კანონმდებლობა კრძალავს არასრულწლოვანი და სრულწლოვანი მსჯავრდებულების ერთად მოთავსებას, არასრულწლოვანზე მავნე, კრიმინალური ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით. (შალიკაშვილი მ., მიქნაძე გ., ხასაია მ., 2014)

თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ არასწორია ამკ-ს 73-ე მუხლის დასათაურება – ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, ვინაიდან არასრულწლოვნების მიმართ არ გამოიყენება უვადო თავისუფლების აღკვეთა. ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გამოყენების აუცილებლობა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ უვადო თავისუფლების აღკვეთაც უნდა ყოფილიყო კოდექსში გამოყენებული. შესაბამისად, ვინაიდან არასრულწლოვნის მიმართ მხოლოდ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა გამოიყენება და არ გამოიყენება უვადო თავისუფლების აღკვეთა, სიტყვა „ვადიანს“ შინაარსობრივი დატვირთვა აღარ გააჩნია და ამოღებიულ უნდა იქნეს ამკ-დან. ამკ-ს 73-ე მუხლს უნდა ერქვას თავისუფლების აღკვეთა.

ამკ-ს 73-ე მუხლის თანახმად, 1. არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა ან ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ანდა მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი. 2. 14- დან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 1/3-ით მცირდება. ამასთანავე, საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. 3. 16-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 1/4-ით მცირდება. (შალიკაშვილი მ., 2016)

ამასთანავე, საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს. 4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები გამოიყენება ამ კოდექსის 76-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის მიუხედავად. (შალიკაშვილი მ., 2016)

პატიმრობის შეფარდება მხოლოდ საგამონაკლისო ღონისძიების სახით ხდება. მართალია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები, მაგრამ, როგორც „პეკინის წესების“ მე-17 პუნქტის „ა“ ქ/პ-შია აღნიშნული, ზემოქმედების ზომის შერჩევასას არასრულწლოვნის მოთხოვნებთან ერთად, საზოგადოების მოთხოვნებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული. პატიმრობის გამოყენების მართლზომიერების შეფასებისას აუცილებელია, მხედველობაში იქნას მიღებული საქმესა და ბრალდებულთან დაკავშირებით არსებული კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლები. (ქვრივიშვილი თ., 2017)

ამკ-ს 73-ე მუხლის ნოვაცია არის ის, რომ არასრულწლოვანისათვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდება აღარ შეიძლება თუ იგი პირველად ჩაიდენს ნაკლებად მძიმე დანაშაულს. თავისუფლების აღკვეთის შეფარდება ხდება მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ან თუ ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ან/და მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იყო გამოტანილი. აღნიშნული ნოვაცია ფრიად

მისასაღმებელია და ნაკლებად მიიმე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებაზე მიუთითებს.

ამკ-ს 73-ე მუხლის ნოვაცია მკვეთრად გააუმჯობესებს ალტერნატიული ღონისძიებების/სასჯელების გამოყენების სტატისტიკურ მაჩვენებელს და შეამცირებს თავისუფლების აღკვეთის გამოყენების პროცენტულ მაჩვენებელს. (შალიკაშვილი მ., 2016)

მსუბუქი სასჯელის დანიშვნა

მნიშვნელოვანია სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელის დანიშვნის საკითხი. საქართველოს სსკ 55-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

ამკ-ს 76-ე მუხლის თანახმად კი, მოსამართლე უფლებამოსილია არასრულწლოვანს დაუნიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა და არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა, რის გამოც მიზანშეწონილია კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა. (შალიკაშვილი მ., 2016)

მნიშვნელოვანია სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელის ამკ-ს 76-ე მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ მოსამართლემ შეძლოს არასრულწლოვანს დაუნიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, საჭიროა, რომ 1) წარსულში არ იყოს ამ არასრულწლოვანის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი და 2) მოსამართლე მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ სასჯელის დანიშვნას.

ამდენად, ამკ-ს ამგვარი მიდგომა მისასაღმებელია და მართლმსაჯულებაში არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინების კუთხით კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. (შალიკაშვილი მ., 2016)

თავი IV არასრულწლოვანი დამნაშავეები და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრევენციული ლონისძიებები

4.1 არასრულწლოვანი დამნაშავეები და სასჯელის მიზანი

არასრულწლოვანთა დანაშაული მათი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური განვითარების გამო, სტატისტიკური (ლატენტური) მონაცემების თანახმად, გარდა იმისა, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული ნორმალური მოვლენაა, იგი ყველგან და ყოველთვისაა გავრცელებული, გავრცელებულია საზოგადოების ყველა სოციალურ ფენაში. არასრულწლოვანი დამნაშავე შესაძლებელია `საჩვენებელი ოჯახის` შვილიც იყოს. (შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., 2016)

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული ეპიზოდური ხასიათისაა, ანუ მოზარდმა დანაშაული შესაძლებელია ჩაიდინოს ნებისმიერ დროს – გარდატეხის ასაკიდან მის სრულად ჩამოყალიბებამდე. გარდატეხის პერიოდთან ერთად არსებობს მოზარდის სოციალიზაციის პროცესთან დაკავშირებული პრობლემები, როცა მან შეიძლება დანაშაული ჩაიდინოს გარდატეხის ასაკში, ხოლო სოციალიზაციის დასრულების შემდეგ აღარ ჩაიდენს დანაშაულს. დანაშაულებრივი ქმედებები ადამიანში მატულობს 14-დან 21 წლამდე პერიოდში, რაც მისი სირთულეებით აღსავსე გარდატეხის პერიოდითა და სოციალიზაციით აიხსნება. დანაშაულებრივი ქმედებები უმაღლეს ზღვარს აღწევს 16-დან 18 წლამდე ასაკში. (შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., 2016)

პროფესორი გოძიაშვილი არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ძირითად გამომწვევ მიზეზებად ასახელებს მათი ცხოვრების ოთხ ძირითად სფეროს: სწავლა, პრომა, ყოფა და დასვენება: 1) განათლებისა და კულტურის დაბალი დონე, დაქვეითებული ინტერესი სწავლის მიმართ, ინტერესთა და მოთხოვნილებათა პრიმიტიული ხასიათი; 2) ჰიპერბოლიზებული (გაზვიადებული)

სწრაფვა სიამოვნების მიღებისაკენ, ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისაკენ, იარაღისაკენ, უქმი დროსტარებისაკენ და ქცევის სხვა ასოციალური ფორმებისაკენ; 3) ფსევდომორალურ-სამართლებრივი ღირებულებები არ გამოირჩევა საკმარისი სიღრმითა და სიმყარით, რაც განაპირობებს არასრულწლოვან დამნაშავეთა ქცევის დამოკიდებულებას სიტუაციის მაპროვოცირებელ გავლენაზე, მსხვერპლის ქცევაზე, დანაშაულის, ხშირ შემთხვევაში, ასაკით უფროსი მონაწილეების წაქეზებაზე, ასოციალურ გარემოზე; 4) სულიერი სფეროს სიღარიბე, გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი, მომატებული აგრესიულობა, თანატოლებთან ურთიერთობისას უკომპრომისობა, ორიენტაცია უხემ ძალაზე, სწავლისა და სპორტის მიმართ სისტემატური ინტერესის უქონლობა; 5) განათლების, ზოგადი კულტურისა და სამართალშეგნების დეფექტების დამოკიდებულება ოჯახურ არაკეთილგანწყობაზე და გარემომცველ ყოფის უარყოფით გავლენაზე; 6) ორიენტაცია იმავე სოციალური სტატუსის პროფესიათა შერჩევაზე, რომელიც აქვთ არასრულწლოვანთა ოჯახური გარემოცვის წევრებს. ეს, როგორც წესი, ის პროფესიებია, რომლებიც არ მოითხოვს დიდი განათლების ან მაღალი კვალიფიკაციის შეძენას, მაგრამ იძლევა შედარებით მაღალი შემოსავლის მიღების საშუალებას (მძღოლი, მუშა და სხვა). (არასრულწლოვანთა დანაშაულობის დეტერმინაცია, იხ. აგრეთვე ლლონტი გ. (რედ.), 2008)

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს დანაშაულისა და სასჯელის ურთიერთმიმართების შესახებ. აღნიშნული საკითხი საკმაოდ საფუძვლიანად შეისწავლა და გამოიკვლია პროფ. ალ. ვაჩიშვილმა. იგი წერს: „სისხლის სამართალს ახასიათებს ორი ძირითადი ცნება – დანაშაული და სასჯელი. (ვარძელაშვილი ი., 2016)

სისხლის სამართლის მეცნიერებაში პირველადია დანაშაულის ცნება, ხოლო მეორეული – სასჯელის ცნება. დანაშაული ისტორიულად და ლოგიკურად წინ უსწრებს სასჯელს. თუ დანაშაული არ არის ჩადენილი, მაშინ სასჯელის შესახებ მსჯელობა უაზრობაა. სისხლის სამართლის კოდექსში ჯერ განხილულია დანაშაული, ხოლო შემდეგ სასჯელი, რაც იმის დადასტურებაა, რომ სისხლის

სამართლის მეცნიერებაში პირველადია დანაშაულის ცნება, ხოლო მეორეული სასჯელის ცნება. (ვარძელაშვილი ი., 2016)

სასჯელი სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა. სხვადასხვა პერიოდში სასჯელის შინაარსს სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ. მე-V-X საუკუნეების მასალების მიხედვით სასჯელი (საშჯელი, სარჯელი, სარჩელი) ნიშნავდა ტანჯვას, სატანჯველს, სამართალს, განაჩენს, დასჯას, მსჯავრს. გამონაკლისის სახით სასჯელი მისი თანამედროვე მნიშვნელობითაც იხმარებოდა. (ვარძელაშვილი ი., 2016)

დანაშაულის ცნება მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში: „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ესე იგი ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება“. იმისათვის, რომ პირს დაენიშნოს სასჯელი, მის მიერ ჩადენილი უნდა იქნეს დანაშაული. ამიტომ, თუ პირს არ ჩაუდენია დანაშაული, შესაბამისად სასჯელიც არ დაენიშნება. (ვარძელაშვილი ი., 2016)

თ. დონიჭაშვილის აზრით, სისხლის სამართლის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან სამართლებრივი სიკეთის დაცვაში. ამ სიკეთის დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა სასჯელი. სისხლის სამართლის სასჯელის არსი გამოიხატება დამნაშავეს როგორც დასჯაში, ისე გამოსწორებაში. თუ ორივე მომენტი არ არის სახეზე (ან გვაქვს თუნდაც ერთ-ერთი), სასჯელი არ გვექნება. (დონიჭაშვილი თ., 2007)

სასჯელი – ეს სახელმწიფო იძულების ღონისძიებაა; უფლება – დასაჯო პიროვნება, რომელსაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში – აქვს მხოლოდ სახელმწიფოს. სასჯელის იძულებითობა ნიშნავს სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ყველა მონაწილის ვალდებულებას, რომელიც დანაშაულის ჩადენისთანავე წარმოიშობა, რათა შესრულდეს სასამართლოს განაჩენი. (ვარძელაშვილი ი., 2016)

იოჰანეს ბიულერი (Bühler, J. 2007,) მიუთითებს, რომ სასჯელი არის ძალადობა (კარგი ძალადობა), რომელიც უნდა იყოს სწორი, გამართლებული და ლეგიტიმური. სასჯელის დახასიათებისას სამ ასპექტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება:

- სამართლიანი დაბალანსება ჩადენილი ქმედებისათვის (სამაგიეროს მიზლვა).
- პრევენციული საშუალება პოტენციური დამნაშავეს დაშინებით (გენერალური პრევენცია).

საშუალება დამნაშავეს გამოსასწორებლად (სპეციალური პრევენცია). (Gropp, W. 2001).

სასჯელის დაწესება სახელმწიფოს განსაკუთრებულ უფლებას წარმოადგენს. სასჯელი არის რა იძულებითი ღონისძიება, ინიშნება სახელმწიფოს სახელით და მხოლოდ სასამართლოს განაჩენით. კანონიერ ძალაში შესული განაჩენი სავალდებულოა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებებისა, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის. (კვირკველია, ვ. 2004,)

სასჯელი არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება. განსაკუთრებულია იმიტომ, რომ სახელმწიფო იძულების სხვა ღონისძიებებისაგან (ადმინისტრაციული სახდელი, დისციპლინური სახდელი და ა.შ) განსხვავებით სასჯელი ყველაზე მკაცრი იძულებითი ღონისძიებაა. (ვარძელაშვილი ი., 2016)

სისხლის სამართლებრივი სასჯელი გამოიყენება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის. სასჯელი წარმოადგენს დანაშაულის იურიდიულ შედეგს. არცერთი სხვა სამართალდარღვევისათვის არ ინიშნება სასჯელი, სასჯელი ინიშნება მხოლოდ დანაშაულის ჩადენისათვის. სისხლისსამართლებრივი სასჯელი გამოიყენება მხოლოდ დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ. ე.ი. სასჯელს აქვს მკაცრად განსაზღვრული ინდივიდუალური, პირადი ხასიათი. ყოველმა პირმა, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული

მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, ანუ დანაშაული, პასუხი უნდა აგოს პირადად არა მის მაგივრად სხვა პირმა. (ვარძელაშვილი ი., 2016)

თანამედროვე კრიმინალისტიკური მეცნიერება ორიენტირებულია სწორედ დანაშაულის ჩადენის მიზეზების აღმოფხვრაზე, რომ ადამიანებში, განსაკუთრებით მოზარდებში დამკვიდრდეს კანონმორჩილება, საზოგადოებისათვის მისაღები მორალი და ღირებულებები. დანაშაულის პროფილაქტიკის თანამედროვე კონცეფციები მოგვიწოდებენ დამსჯელობითი ზომებიდან სამედიცინო-ფსიქოლოგიურ, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ და სოციალურ-სამართლებრივ დახმარებაზე გადასვლისაკენ, განსაკუთრებით რისკ-ჯგუფების და ფსიქოლოგიურ-სოციალურ განვითარებაში გადახრების მქონე მოზარდებისათვის. (დაუთაშვილი პ., 2015)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია“. დადებითად უნდა შეფასდეს სასჯელის მიზნების განსაზღვრება საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა კონკრეტულად არ ჩამოთვლის სასჯელის მიზნებს. იგი განმარტებულია სისხლის სამართლის თეორიაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.“ როგორც ამ საკანონმდებლო ფორმულიდან ჩანს, კანონმდებელი სასჯელის ერთ-ერთ მიზნად სამართლიანობის აღდგენას მიიჩნევს. (ვარძელაშვილი ი., 2016)

არასრულწლოვანის ასაკიდან გამომდინარე მოსახლეობის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი და სოციალურად დაუცველი ფენაა. არასწორი ოჯახური აღზრდა, შეფერხებები სასწავლო პროცესის წარმართვაში და სხვა ხასიათის ნეგატიური პრობლემები პირდაპირ კავშირშია იმ სოციალურ გადახრასთან, რომლებიც

ხშირად ხელს უწყობენ არასრულწლოვნის დანაშაულებრივ გზაზე აღმოჩენას. (დაუთაშვილი პ., 2015)

არასრულწლოვან დამნაშავეთა ძირითად ბაზას სწორედ ე.წ. რთული ბავშვები შეადგენენ. მათთვის დამახასიათებელია გარემოს მტრულად აღქმა და აღზრდისადმი აქტიური წინააღმდეგობა. მკვეთრად გამოხატული სიჭიუტე, კაპრიზულობა, ღირებულებებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. ისინი ხშირად უხეშები, ცინიკოსები, თავხედები არიან. გაბიანი ლ., 2001)

არასრულწლოვანი დამნაშავე შეიძლება დაუბრუნდეს ნორმალურ, ცხოვრებას, თუკი მას ნორმალურ პირობებს შევუქმნით. ეს პირობები მრავალ ფაქტორს მოიცავს: ჯანსაღ სოციო-ეკონომიკურ სიტუაციას, ფსიქოლოგიურ დახმარებას, ზოგადი განათლებითა და პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფას. (არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაცია საქართველოში, 2004).

სასჯელის სწორად დანიშვნამ საზოგადოების თითოეულ წევრს სამართლიანობის განცდა უნდა ჩამოუყალიბოს. სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასჯელის მიზნები, მისი დანიშვნის ზოგადი საწყისები. ეს პროცესი განსაკუთრებულ სპეციფიკას მოითხოვს არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნისას, რომლის დროსაც, ჩამოთვლილ გარემოებებთან ერთად, მხედველობაშია მისაღები დამნაშავეის ასაკი. იგი ხომ სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. საქართველოში კი ის 14 წლიდან იწყება.

1960 წელს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის ასაკი, სასჯელის მიზნები, სასჯელის სახეები და მათი დანიშვნის წესი თავისებური ხასიათის იყო და არსებული სინამდვილიდან გამომდინარეობდა.

იმ პირთა მიმართ, ვინც დანაშაულს 18 წლის ასაკამდე ჩაიდინდა და მოსამართლის შეფასებით დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენდა, შესაძლებელი გახლდათ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება, რაც სისხლის სამართლის სასჯელს არ წარმოადგენდა. ეს ყოველივე

სისხლის სამართლის ცალკე მუხლით (64-ე მუხლი) – არასრულწლოვანთა მიმართ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებათა გამოყენებით – რეგულირდებოდა. სასჯელის დანიშნისას მთავარ ამოცანას უდავოდ სასჯელის მიზნების განხორციელება წარმოადგენს. ამ მხრივ ორიგინალური და საინტერესოა იმდროინდელი სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრული სასჯელის მიზნები. ის შემდეგი სახით იყო ჩამოყალიბებული: „სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტი შესრულების, საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. აგრეთვე აცდენილ იქნეს ახალ დანაშაულთა ჩადენა როგორც მსჯავრდებულთა, ისე სხვა პირთა მიერ. სასჯელის მიზნების ამგვარი დეფინიცია ნათლად გვიჩვენებდა, რომ მხოლოდ დასჯა არ იყო სასჯელის მიზანი, მაგრამ მისი შინაარსიდან გამომდინარე ერთ-ერთი მიზანი თავისთავად დასჯაც იყო. იმდროინდელ სისხლის სამართლის კოდექსში ასახული სასჯელის მიზნები ერთნაირად ვრცელდებოდა როგორც სრულწლოვანი, ასევე არასრულწლოვანი პირის მიმართ. (ივანიძე მ. 2017)

არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან და სასჯელთან დაკავშირებული საკითხები გათვალისწინებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. თუმცა მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (2015 წლის 12 ივნისი), ზემოაღნიშნული საკითხები აღარ გვხვდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და ისინი გადატანილი იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, რომლის ძირითადი ნაწილი ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან. (ვარძელაშვილი ი., 2016)

არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის თავისებურებანი განსხვავდება სრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან მთელი რიგი გარემოებებით. მაგალითად, თუ სრულწლოვანს შეიძლება დაენიშნოს უვადო

თავისუფლების აღკვეთა, არასრულწლოვნისათვის აღნიშნული სასჯელის გამოყენება დაუშვებელია. არასრულწლოვანს არ შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 12 წელზე მეტი ვადით და ა.შ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. 2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სასჯელის ზემოაღნიშნული მიზნები ეხებოდა როგორც სრულწლოვნებს, ისე არასრულწლოვნებს. (ვარძელაშვილი ი., 2016)

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია. რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ცნებას იძლევა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილი, რომლის თანახმადაც, რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია არის არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის გრძნობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება, არასრულწლოვნის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობა და მისი მომზადება საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად. (ვარძელაშვილი ი., 2016)

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ არასრულწლოვანთა სასჯელი პირველ რიგში ემსახურება არა ბრალთან გათანაბრებას, არამედ აღზრდას. ამასთან, აღნიშნული სასჯელი უნდა იყოს მომავალზე ორიენტირებული. (Zieger, M. 2013) გერმანიის უზენაესმა სასამართლომ პირდაპირ მიუთითა არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში აღზრდის უპირატესობაზე. გერმანულ სისხლის სამართალში საუბარია არასრულწლოვნის აღზრდაზე, ხოლო ზრდასრულების – დასჯაზე. არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში აღზრდას გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომელიც ძირითადად პოზიტიური სპეციალური პრევენციის იდენტურია. (Schönke, A. Schröder H., 2010,).

არასრულწლოვნებს ენიშნებათ შედარებით მსუბუქი და ხანმოკლე სასჯელები, ვიდრე სრულწლოვნებს. ეს კი განპირობებულია იმით, რომ არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია შესაძლებელია დროის ხანმოკლე პერიოდში. ხანგრძლივმა სასჯელმა ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ არასრულწლოვანზე შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს. იმისათვის, რომ სასჯელი, რომელიც დაენიშნა არასრულწლოვანს იყოს ეფექტური და მიაღწიოს თავის მიზანს, ამისთვის საჭიროა მოსამართლის მიერ შეირჩეს ისეთი სასჯელი, რომელიც ადეკვატური იქნება არასრულწლოვანი მსჯავრდებული პიროვნებისა. იმისათვის, რომ სასჯელის მიზნები მიღწეულ იქნას არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში, მას უნდა შეეფარდოს ისეთი სასჯელი, რომელიც არ იქნება დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. (Карпец И.И., , 1961)

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მითითებულია, რომ არასრულწლოვანთა მიმართ თავისუფლების აღკვეთა შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: 1) არასრულწლოვნის მავნე მიდრეკილების გამო, რომელიც ქმედებაში გამოვლინდა, აღმზრდელობითი ღონისძიების ან აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენება არასაკმარისია ან 2) ბრალის სიმძიმის გამო სასჯელის გამოყენება აუცილებელია. (Ostendorf H., 2009))

4.2 არასრულწლოვანთა დანაშაულის შემცირებისა და რესოციალიზაციის პრევენციული ღონისძიებები

პრევენციის სტრატეგიები არ განეკუთვნება (არასრულწლოვანთა) მართლმსაჯულების სისტემის მანდატსა და პასუხისმგებლობას, თუმცა აუცილებელია, ისინი წარმოადგენდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ყოვლისმომცველი პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს (“არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკა, რომელიც არ ითვალისწინებს კომპლექსურ

ზომებს კანონთან არასრულწლოვანთა დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, სერიოზულ ხარვეზებს განიცდის”). ბავშვის უფლებათა კომიტეტის მოთხოვნით სახელმწიფოებმა სრულად უნდა შეიტანონ რიადის პრინციპები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისადმი მიძღვნილ საკუთარ ყოვლისმომცველ პოლიტიკაში. (ჰამილტონი ე., 2011)

ბავშვთა ჭეშმარიტ ინტერესებსა და მათ კეთილდღეობაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის დანერგვა საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტად დაისახა და შექმნა კიდევ მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპებსა და ნორმებს, არასრულწლოვანთა დელინქენტობის პრევენციის სახელმძღვანელო პრინციპებს, არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ მინიმალურ სტანდარტებს, თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ გაეროს წესებს, ასევე ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპებს ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების შესახებ და სხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო თუ რეგიონულ ინსტრუმენტს. (ხერხეულიძე ი., 2017)

პრევენცია ანუ პროფილაქტიკა დანაშაულთან და სხვა სამართალდარღვევასთან ბრძოლის ძირითადი მიმართულებაა. მის მიზანს წარმოადგენს დანაშაულის აღკვეთა-აცილება. დანაშაულის პროფილაქტიკის უშუალო სუბიექტები არიან სამოქალაქო საზოგადოების პირველადი რგოლები: ოჯახი, შრომითი და სასწავლო კოლექტივები. ისინი უშუალოდ ზემოქმედებენ ადამიანზე, ცხოვრებისა და აღზრდის პირობებზე, ანეიტრალებენ კრიმინოგენურ სიტუაციას, ადგენენ და თავიდან იცილებენ კონკრეტული დანაშაულების მიზეზებსა და პირობებს და ახდენენ რეციდივის პროფილაქტიკას.

გაერომ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1990 წელს შეიმუშავა “ერ რიადის წესები” სადაც განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ბავშვთა სოციალურად სასარგებლო ღონისძიებებში ჩართვას

და იმ პირობების შექმნას დაეთმო, რომელიც ბავშვებში არაკრიმინოლოგიური პროზიციის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. (დაუთაშვილი პ., 2015)

ამდენად, პრევენცია ანუ პროფილაქტიკა დანაშაულთან და სხვა სამართალდარღვევასთან ბრძოლის ძირითადი მიმართულებაა. მის მიზანს წარმოადგენს დანაშაულის აღკვეთა-აცილება.

პრევენციული საქმიანობა სამ ძირითად ასპექტს მოიცავს: 1. საგანმანათლებლოს; 2. ფსიქოლოგიურს 3. სოციალურს.

1 - საგანმანათლებლო ასპექტი გულისხმობს მოზარდებისათვის ისეთი ინფორმაციის გადაცემას, რომელიც ხელს უწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ამავე დროს დაეხმარება მოზარდებს თვითშემეცნებისა და იდენტურობის ჩამოყალიბებაში.

2 - ამ მხრივ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ასპექტიც, რომლის მიზანია ახალგაზრდისათვის ადეკვატური თვითშეფასების, კონფლიქტების მოგვარების, გადაწყვეტილების მიღების და სხვა ამგვარი უნარების ჩამოყალიბება

3 - და ბოლოს სოციალური, რომელიც გულისხმობს მოზარდის სოციუმთან ადაპტაციის გაადვილებას. (დაუთაშვილი პ., 2015)

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობამ იუვენალურ სისხლის სამართალში აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტების შემოტანის აუცილებლობა დღის წესრიგში დააყენა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა ერთ-ერთ მთავარ პრინციპად არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების პრიორიტეტულობა აღიარა, რითაც სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოს დაუწესა ვალდებულება, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ პირველ რიგში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან მისი განრიდების შესაძლებლობა იქნეს განხილული და მხოლოდ მას შემდეგ დადგეს დღის წესრიგში არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, როდესაც

არასრულწლოვნის მახასიათებლები და მის მიერ ჩადენილი ქმედება განრიდების გამოყენების შესაძლებლობას არ იძლევა. (ჩხეიძე ი., 2016)

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემისა და შესაბამისი კოდექსის შექმნის კვალდაკვალ, საქართველო თანმიმდევრულად ახორციელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო პოლიტიკას, მათ შორის, ამ პოლიტიკის შემადგენელ ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტზე აქცენტის გაკეთებით, როგორც არის არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია

რიადის პრინციპების მოთხოვნით, აქცენტი უნდა გაკეთდეს პრევენციის პოლიტიკაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა ბავშვის წარმატებულ სოციალიზაციასა და ინტეგრაციას, კერძოდ, ოჯახის, საზოგადოების, თანატოლთა ჯგუფების, სკოლების, პროფესიული მომზადების ცენტრებისა და სამსახურის, აგრეთვე ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მეშვეობით. (ხერხეულიძე ი., 2017)

ქეროლინ ჰამილტონი გვანვდის ხედვას იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა არ შეიცავს არც პირველად (ანუ საყოველთაო), და არც მეორეულ (ანუ მიზნობრივ) პრევენციის პროგრამებს ბავშვების მიერ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის შემცირებისათვის, არამედ სანაცვლოდ, იგი ითვალისწინებს მესამეულ პრევენციას, ანუ ინტერვენციას პროცესის განმავლობაში (დაპატიმრების მომენტიდან), რაც მიზნად ისახავს განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას. (ჰამილტონი, ქ. 2011)

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე, 2015 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიით გათვალისწინებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში, ისევე როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის 2016-2020 წლების სამოქმედო გეგმაში, საქართველოს მთავრობის ძირითადი პრიორიტეტია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია და ინდივიდუალური სარეაბილიტაციო პროგრამების საშუალებით რეციდივის დონის შემცირება. (სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია, 2015)

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ჩასანაცვლებლად ე.წ. `ალტერნატიულ` სასჯელებს იყენებს. სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სახის შედარებით მსუბუქი სასჯელებია დანესებული. მათ შორის კუთვნილ ადგილს იკავებს სასჯელის ისეთი სახე, როგორცაა შინაპატიმრობა. (Левченко В.Н, 2015)

შინაპატიმრობა – როგორც ასეთი, ჯერ კიდევ რომის სამართალში, კერძოდ კი რომის რესპუბლიკის პერიოდში წარმოიშვა. ბრალდებულსა და მსჯავრდებულს თავისუფლების გარკვეულწილად შეზღუდვის ფონზე, შენარჩუნებული ჰქონდათ უფლება ყოფილიყვნენ განკუთვნილ საცხოვრებელ ადგილას, მიეღოთ მეგობრები სტუმრად, ესარგებლათ საკუთარი საკვებითა და ა.შ. სისხლისსამართლებრივ წარმოებაში სწორედ ამ პერიოდიდან ჩნდება ეს ტერმინიც. შინაპატიმრობა თავისი ბუნებით წარმოადგენს სასჯელის ისეთ ნაირსახეობას, რომელიც დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთასთან, თუმცა გამოიყენება როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა. მისი ასეთი გამოყენების რეკომენდაციას იძლევა გაეროს მინიმალური წესები სასჯელთან მიმართებაში, რომლებიც არ არის დაკავშირებული საპატიმრო სასჯელებთან (ტოკიოს წესები) 1990 წელი (მე-8 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა, ახალი, უფრო ლიბერალური ხედვები შემოგვთავაზა, მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის - სასჯელების გარშემო. სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის პოლიტიკიდან გამომდინარე, ბოლო წლებში ალტერნატიული სასჯელების როლი მეტად წარმოჩინდა. მისი თითოეული სახე და გამოყენების ეფექტურობა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. ამის შესაბამისად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გვთავაზობს საპატიმრო სასჯელის ალტერნატიულ სახეებს, მათ შორის, სრულიად ახალ სასჯელის სახეს - შინაპატიმრობას, რომელიც კოდექსის დანარჩენი მუხლებისგან განსხვავებით, უფრო ადრე, 2015 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა. (მახარობლიძე თ., 2017)

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ საფუძველზე 2016 წლის სექტემბრიდან ძალაში შევიდა არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე – შინაპატიმრობა, რომელიც პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ ელექტრონული მონიტორინგის საშუალებების გამოყენებით უნდა აღასრულოს. სასჯელის მოხდის ალტერნატიული ფორმის დანერგვა სისხლის სამართლის სისტემის ლიბერალიზაციას ემსახურება. ციხის ალტერნატიული სანქციების გამოყენება, ის, რომ ციხე იყოს სასჯელის უკიდურესი ფორმა, მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია, არასრულწლოვნების შემთხვევაში კი ეს მოთხოვნა უფრო მკაცრად არის დაყენებული. როდესაც სასამართლოში განიხილება არასრულწლოვნის საქმე, თუ არ არის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ფაქტები, სასამართლო მაქსიმალურად ცდილობს, სასჯელის მოხდის ადგილად სასჯელალსრულების დაწესებულება არ გამოიყენოს. მისი მთავარი მიზანია არასრულწლოვანი მაქსიმალურად იყოს არიდებული სასჯელალსრულების დაწესებულებას. კანონმდებლის აზრით, შინაპატიმრობა ალტერნატიული სასჯელის ფორმაა, რაც თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ შინაპატიმრობაში მყოფი პირი 24 საათის განმავლობაში უნდა იყოს სახლის პირობებში. მოსამართლე, გამომდინარე არასრულწლოვნის ყოველდღიური ცხოვრებიდან, განუსაზღვრავს მას იმ საათებს, რა პერიოდშიც ის უნდა იყოს სახლში. დანარჩენ დროს არასრულწლოვანი თავისუფალია იმისთვის, რომ მან იაროს სპორტზე, სკოლაში, ჰქონდეს ურთიერთობა სოციუმთან და მაქსიმალურად შეეწყოს ხელი, რომ არ დაუშვას ის შეცდომა, რის გამოც არის ბრალდებული. რაც შეეხება სასჯელის აღსრულებას, ეს დაევალა პრობაციის ეროვნულ სააგენტოს. (გორგოძე მ., 2017)

მსოფლიო ქვეყნების სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაკუთრებულ ტენდენციას ისეთ სასჯელებზე გადასვლა წარმოადგენს, რომელიც არ არის დაკავშირებული მსჯავრდებულის საზოგადოებიდან სრულ იზოლაციასთან. შესაბამისად, უფრო და უფრო ფართოდ ხდება ელექტრონული საშუალებების გამოყენება ზედამხედველობის განსახორციელებლად. ცნობილია, რომ

მსჯავრდებულთა ელექტრონული მონიტორინგის იდეა ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოიშვა. (გორგოშიძე მ., 2018)

პროფესორ მორის შალიკაშვილის მოსაზრებით: „ელექტრონული მონიტორინგის დროს მსჯავრდებულს ხელზე ან ფეხზე უკეთია ელექტრონული მონიცილობა, ეს კი საშუალებას იძლევა (განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში), რომ იგი იდენტიფიცირებული იქნას სხვა ადამიანების მიერ როგორც სამართალდამრღვევი, რაც თავის მხრივ, ზრდის სტიგმატიზაციის რისკს. მსჯავრდებულის სტიგმატიზაცია ზღუდავს კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებულ მის უფლებას, პიროვნების განვითარების შესახებ.“. (შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., 2016)

ელექტრონული ზედამხედველობა არის ზოგადი ტერმინი მეთვალყურეობის ყველა ფორმისთვის, რომლის მეშვეობითაც ხდება ადამიანთა ადგილმდებარეობის, გადაადგილებისა და კონკრეტული ქცევის მონიტორინგი სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლით, შინაპატიმრობა ნიშნავს არასრულწლოვნისთვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ენიშნება 6 თვიდან 1 წლამდე ვადით. შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული მონიტორინგის საშუალების გამოყენებით.

ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენება განისაზღვრება `ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №178 ბრძანებით.

ქართულ სამართალწარმოებაში ელექტრონული მონიტორინგის საკითხი, ანუ ელსამაჯურის გამოყენების პრობლემა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებისთანავე გახდა საყურადღებო და იურისტთა თუ ფსიქოლოგთა მსჯელობის საგნად იქცა. 2015 წლის 31 დეკემბერს, საქართველოს

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ გამოცემული იქნა ბრძანება: „ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესის და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ,“ რომლის მიხედვითაც ელექტრონული საშუალებების ექსპლუატაცია ხორციელდება.

მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული ზედამხედველობა აქტუალური თემა გახდა, მას გარკვეული ხარვეზებიც გააჩნია, რაც მეტად პრობლემური საკითხია.

არღვევს თუ არა ელექტრონული ზედამხედველობა ადამიანის უფლებებს, მაშინ როდესაც, მიზანშეწონილია, ხელისუფლების ორგანოებმა სამართლიანად, პროპორციულად და ქმედითად გამოიყენონ ელექტრონული მონიტორინგის სხვადასხვა ფორმა სისხლის სამართლის პროცესის ჩარჩოებში შესაბამის პირთა უფლებების სრული დაცვით. როდესაც ელექტრონული მონიტორინგი პირველად გააცნეს საზოგადოებას, ხშირად ისმოდა მოსაზრება, რომ სასჯელის აღსრულების ეს ფორმა იქნებოდა ადამიანის კონსტიტუციური უფლებების შემლახავი, მაგალითად, ხელყოფდა პირადი ცხოვრების უფლებას.¹⁵ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია საჯარო არ არის. მისი გამჟღავნება ლახავს პირადი ცხოვრების უფლებას. (მახარობლიძე თ., 2017). ელექტრონული სამაჯური ხილვადია, შესაბამისად, ინფორმაციაც არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ. ეს ხელს შეუწყობს კი არა, პირიქით, ხელს შეუშლის პირის რესოციალიზაციას. მსჯავრდებული მოერიდება საზოგადოებაში გამოჩენას, ადამიანებთან ურთიერთობას და ა.შ. არასაპატიმრო სასჯელი არ უნდა ახდენდეს არასრულწლოვნის სტიგმატიზაციას, მის მონყვეტას ნორმალური სასწავლო პროცესიდან. ზოგადად, არ უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული ზეგავლენა მსჯავრდებულის ცხოვრების ჩვეულ რიტმზე. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ბავშვებს აქვთ პირადი ცხოვრების სრული პატივისცემის უფლება საქმის განხილვის ყველა სტადიაზე. (მახარობლიძე თ., 2017)

უმნიშვნელოვანესია, რომ პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელებამ არ შელახოს ბავშვთა უფლებები, თუმცა ბავშვმა აუცილებლად უნდა გაიზიაროს რა

ზიანი გამოიწვია მისმა დანაშაულმა და გააცნობიეროს თავისი წილი პასუხისმგებლობა.

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ფართოდ განმარტა. სახელმწიფოებმა მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ კანონმდებლობაში რომ, როდესაც მიმდინარეობს ბავშვის გასამართლება დანაშაულის ჩადენის გამო, განხილვა უნდა გაიმართოს დახურულ კარს მიღმა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, შინაპატიმრობის ელექტრონული მონიტორინგის აღსრულებისას არ არის გათვალისწინებული მსჯავრდებულის თანხმობა. კოდექსის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილით, არასაპატიმრო სასჯელის აღსასრულებლად ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების შესახებ არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა საჭიროა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არასრულწლოვანს სასჯელის სახით შეფარდებული აქვს შინაპატიმრობა. (მახარობლიძე თ., 2017)

განრიდებისა და მედიაციის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

ბერძნულად “medos” მიუკერძოებელსა და ნეიტრალურს ნიშნავს, ხოლო ლათინური ზმნა “mederi” - გაჯანსაღებასა და გამოსწორებას. მოპოვებული წყაროების მიხედვით, მედიაციას ვხვდებით როგორც ანტიკურ საბერძნეთში, ისე ჩინეთში, ეგვიპტესა და ინგლისში. (არაყიშვილი ნ., 2015)

არსებობს, არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის განხორციელების აუცილებლობის თეორიული საფუძველი რაც აიხსნება შემდეგ გარემო ფაქტორებზე მითითებით.

იქიდან გამომდინარე, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულს ახასიათებს: ნორმალურობა, ეპიზოდურობა და საზოგადოების ყველა ფენაში გავრცელება, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში განრიდებისა და მედიაციის

ერთ-ერთი პრინციპია ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა. (ვარდანაშვილი უ., 2018)

განრიდება-მედიაციის პროგრამა ჯერ კიდევ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე შემოვიდა ქართული სისხლისსამართალწარმოებაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედების ფარგლებში. ფაქტობრივად აქედან იწყება გარდამტეხი ინოვაციური მექანიზმების ამოქმედება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში. ეს გახლდათ 2010 წელი. სწორედ 2010 წლის, ივლისში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება. ამ ცვლილებასთან ერთად ამოქმედდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების განრიდებისა და მედიაციის მექანიზმი. (ჩხეიძე ი., 2016)

განრიდება ან/და მედიაცია, როგორც ალტერნატიული მექანიზმი, განერილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და სხვა ნორმატიულ აქტებში. ის არ იწვევს მოზარდი დამნაშავეს სრულ ჩართვას სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში, როგორც ეს შეიძლება მოხდეს სხვა, უფრო მძიმე დანაშაულის ჩამდენი მოზარდების მიმართ.

ეს არის საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეალობას მორგებული პრინციპი, რომლის მიზანია კრიმინალის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის თანმდევით უარყოფითი შედეგების (არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდა) განეიტრალება ახალი ლიბერალური პროგრამებით, მათ შორის განრიდების ან მედიაციის პროგრამით. (ვარდანაშვილი უ., 2018)

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვნისთვის წარმოადგენს ერთ შანსს, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ განაგრძოს ცხოვრება ნასამართლობის, სასჯელის გარეშე, დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება და გადადგას ნაბიჯი წარმატებული მომავლისკენ. პროგრამა ეფექტური საშუალებაა არასრულწლოვნის მართლშეგნების ხელშეწყობის, მისი რესოციალიზაციისა და დაზარალებულის დაკმაყოფილების თვალსაზრისით. განრიდება და მედიაცია

ეყრდნობა აღდგენით მართლმსაჯულების კონცეფციას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს დამნაშავესა და დაზარალებულის ინტერესებს, მიმართულია დანაშაულის პრევენციაზე და ზრუნავს საზოგადოების, როგორც მთლიანობის გაჯანსაღებაზე².

როგორც აღინიშნა განრიდება და მედიაცია ეყრდნობა აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამას, ამიტომ უპრიანი არ იქნებოდა აღდგენითი მართლმსაჯულების არსის გაგება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფარგლებში.

აღდგენითი მართლმსაჯულება არის მცდელობა, შეეხოს და ფოკუსირდეს ამ შეზღუდვებსა და საჭიროებებზე. დაწყებული 1970-იანი წლებიდან, მრავალი პროგრამა და მიდგომა შემუშავდა ათასობით საზოგადოებაში და მრავალ ქვეყანაში. (ზეჰერი ჰ.)

აღდგენითი მართლმსაჯულება პროცესია, რომელიც ცდილობს, რამდენადაც შესაძლებელია, ჩართოს კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებული დაინტერესებული მხარეები, რომლებმაც შეთანხმებულად უნდა განსაზღვრონ მიყენებული ზიანი, საჭიროებები და პასუხისმგებლობები და შეძლებისდაგვარად იზრუნონ მდგომარეობის გამოსწორებაზე.

აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები მიზნად ისახავს:

- საკვანძო გადანყვეტილებები მიანდოს იმათ, ვისაც დანაშაული ყველაზე მეტად შეეხო;
- მართლმსაჯულებამ შეძლოს მდგომარეობის გამოსწორება და იდეალურ შემთხვევაში, რადიკალურადაც, და
- შეამციროს მომავალში დანაშაულის ჩადენის ალბათობა. (ზეჰერი ჰ.)

აღდგენითი მართლმსაჯულების მიხედვით დანაშაული აიხსნება, პირველ რიგში, როგორც ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა კონკრეტულ პირს ან პირთა

² <http://ganrideba.ge>

ჯგუფს და არა მთელ საზოგადოებას. აქედან კი წარმოიშობა ვალდებულება მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, ასევე ბოდიშის მოხდის ვალდებულება, დარღვეული უფლების აღდგენა და ბრალეულობის გაცნობიერება. შესაბამისად, ხდება სისხლისსამართლებრივი სასჯელის მიზნების განხორციელება – სოციალური სამართლიანობის აღდგენა. (Есаков Г. А.2007). არაფორმალურ იურიდიულ სინამდვილეში თვლიან, რომ სასჯელი ემსახურება დარღვეული უფლების აღდგენის საშუალებას, ხოლო აღდგენითობა – „ადამიანური“ კატეგორიაა. (Карнозова Л. , 2003) აღდგენითი მართლმსაჯულება მოიცავს სისხლის სამართალწარმოებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ მოდელს, რომელიც საშუალებას იძლევა აქცენტები შეიცვალოს სამართალდამრღვევთა პასუხისმგებლობის მიმართ სახელმწიფოებრივი იძულებით, ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნებისათვის, რათა პირმა რეალურად აგოს პასუხი ჩადენილი დანაშაულისათვის.

4.3 არასრულწონის სასჯელის მოხდის შემდგომი პერიოდი, მისი სამართლებრივი და ფისქოლოგიური ასპექტები

თითოეულმა ქვეყანამ არასრულწლოვან დამნაშავეთა სასჯელის მოხდის შემდგომი პერიოდის, მათი რესოციალიზაციისა და ინტეგრაციისათვის თავისი მიდგომები ჩამოაყალიბა და განავითარა საკუთარი ისტორიის, კულტურული თავისებურებებისა და ღირებულებების შესაბამისად.

სასჯელის აღსრულების შემდგომი ზრუნვა, ანუ როგორც ეს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2010)¹ რეკომენდაციაში გათავისუფლების შემდგომ თანადგომად არის მოხსენიებული, ნიშნავს მსჯავრდებულთა რეინტეგრაციის პროცესს ნებაყოფლობით სანყისებზე და საბოლოოდ გათავისუფლების შემდგომ

საზოგადოებაში დაბრუნებას კონსტრუქციული, დაგეგმილი და კონტროლირებადი სახით. (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია 2010).

ევროპის იმ ქვეყნების უმრავლესობაში, სადაც ყოფილ მსჯავრდებულთა მიმართ სასჯელის აღსრულების შემდომი მხარდაჭერის პროგრამები ხორციელდება, ამ ფუნქციას პრობაციის სამსახურები აღასრულებენ. საქართველომ ამ მხრივ დამატებითი სტრუქტურული ერთეული შექმნა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დანაშაულის პრევენციის ცენტრი, რომლის ერთ-ერთ ფუნქციად ხსენებული უფლებამოსილების განხორციელება განისაზღვრა. (შალიკაშვილი მ., 2016)

რესოციალიზაციის საკითხს სისხლის სამართალში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ყოველი სახელმწიფო, რომელსაც აქვს პრეტენზია იყოს სამართლებრივი, დემოკრატიული და ჰუმანური განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს მას. (ჭეიშვილი ნ., 2014)

ტერმინი სოციალური ინტეგრაცია გულისხმობს სამართალდამრღვევისთვის მხარდაჭერის განცხადებას პატიმრობის შემდეგ საზოგადოებაში დაბრუნებისას. უფრო ფართო განმარტებით კი ის მოიცავს მთლიან პერიოდს სასამართლო დევნის დაწყებიდან საპატიმროდან გათავისუფლების შემდეგი პერიოდის ჩათვლით. იმ პირებისათვის, ვისაც თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, სოციალური რეაბილიტაცია უნდა დაიწყოს სასჯელის გამოტანის პირველი დღიდანვე თავისუფლების აღკვეთის დაწყებულებაში და გაგრძელდეს გათავისუფლების შემდგომი პერიოდის ჩათვლით. (ლონდაძე ნ., 2017)

როგორც ნაშრომში აღნიშნულ იქნა, „სასჯელი არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც ინიშნება სასამართლო განაჩენით, შეეთარდება დანაშაულის ჩამდენ პირს და გამოიხატება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლების ჩამორთმევასა ან შეზღუდვაში“. (გაბიანი ა., გვენეტაძე ნ., დვალიძე ი., თოდუა ნ., ივანიძე მ., მამულაშვილი გ., ნაჭყებია გ., ტყეშელაშვილი გ., ხუროშვილი გ., 2007)

სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია, თუმცა არასრულწლოვან დამნაშავეთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად სასჯელის მიზნებში დამნაშავის რესოციალიზაცია პირველ ადგილზეა.

დამნაშავის რესოციალიზაცია პირდაპირ არის დაკავშირებული ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასთან. სწორედ სპეციალური პრევენციის მიზანია დამნაშავე პირისადმი ინდივიდუალური მიდგომა და გამოსწორების ზემოქმედების ფორმით ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. (შალიკაშვილი მ., 2011)

საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მიზნად განსაზღვრავს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას. ამასთან განმარტავს, რომ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება. განსაზღვრულია აგრეთვე რესოციალიზაციის ძირითადი საშუალებები, რომელთა გამოყენებაც მოხდება დანიშნული სასჯელის, ჩადენილი დანაშაულის, დამნაშავის პიროვნების, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და ქცევის გათვალისწინებით. ესენია: სასჯელის მოხდა დადგენილი წესის შესაბამისად; სარეაბილიტაციო პროგრამები; აღმზრდელობითი მუშაობა არასრულწლოვანთა მიმართ მსჯავრდებულის დასაქმება; ზოგადი და პროფესიული განათლების მიღება; საზოგადოებასთან ურთიერთობა. (საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსის“ 116-ე მუხლი)

თავისუფლების აღკვეთის დროს, ძირითადად გამოჰყოფენ რესოციალიზაციის პენიტენციურ და პოსტ პენიტენციურ ეტაპებს.

პოსტ პენიტენციურ ეტაპს, პირის გათავისუფლების შემდეგ, რესოციალიზაცია სხვა კუთხით უნდა გაგრძელდეს. თუ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში რესოციალიზაცია გულისხმობდა დამნაშავის მიერ დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელებაზე უარის თქმასა და მისი თავისუფლებისათვის მომზადებას, აქ

რესოციალიზაცია გვევლინება „ადაპტირების სახით“. (Трубников В. МЛ., 1984); შესაძლოა ეს იყოს ადაპტირება საზოგადოებასთან, განსხვავებული ცხოვრების რეჟიმთან, თავისუფლებასთან და ა.შ. პოსტ პენიტენციურ ეტაპზე ყოფილი მსჯავრდებულისთვის სახელმწიფოს მიერ რესოციალიზაციაში ხელის შეწყობა გამოვლინდება მისთვის შესაბამისი განათლების მიცემაში, სასახურის შოვნაში, საცხოვრებლით უზრუნველყოფაში (თუ არსებობს ამის საჭიროება). წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ პირს არ ექნება სამსახური, საცხოვრებელი ადგილი, დარჩება მარტო და მოხდება მისი ნორმალური სოციალური გარემოდან იზოლირება, როგორც უკვე აღინიშნა, იგიკიდევჩაიდენსდანაშაულს. (ჭეიშვილი ნ., 2014)

რესოციალიზაციის პრობლემა მწვავედ დგას არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში. მათზე გაცილებით მძიმე გავლენას ახდენს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში არსებული უარყოფითი ფაქტორები. (ჭეიშვილი ნ., 2014)

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განათლების მიღების უზრუნველყოფის საკითხი. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ განათლების მიღება, მათი რესოციალიზაციის ხელშემწყობ ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. 36 მიზანშეწონილია ჩაუტარდეთ სხვადასხვა სახის სოციალურფსიქოლოგიური ტრენინგები, მოხდეს მათი ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან მსგავსი დამოკიდებულებებისგან ნებაყოფლობითი განკურნება და სხვა. (ჭეიშვილი ნ., 2014)

ამ მხრივ აღსანიშნავის საზღვარგარეთის პენიტენციური სისტემის პრაქტიკა. გერმანიის პენიტენციური სისტემა ეფუძნება რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პრინციპებს. რეაბილიტაციის მნიშვნელობა კანონმდებლობით არის განსაზღვრული. გერმანიის 1977 წელს შექმნილი „ციხის კოდექსის“ თანახმად, თავისუფლების აღკვეთის ერთადერთი მიზანია, გათავისუფლების შემდეგ ყოფილმა პატიმარმა შეძლოს დანაშაულისგან თავისუფალი და სოციალური პასუხისმგებლობით სავსე ცხოვრებით ცხოვრება. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ თავისუფლების

აღკვეთის მიზანია არა საზოგადოების დაცვა, არამედ სამართალდამრღვევის რეინტეგრაცია საზოგადოებაში.

რეაბილიტაციისა და ნორმალიზაციის ეს პრინციპები ასახვას პოულობს როგორც განაჩენის გამოტანის პრაქტიკაში, ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ პირობებში. რადგან რეაბილიტაციის პრინციპი უპირატესობას ანიჭებს შუალედურ, არასაპატიმრო სასჯელს, თავისუფლების აღკვეთა დაზოგვით გამოიყენება. რადგან სასჯელის უმთავრესი მიზანი რეაბილიტაცია და რესოციალიზაციაა.

გერმანიაში პრობაციის სერვისები დეცენტრალიზებულია და მათ ეწოდება „სოციალური სერვისები სისხლის სამართლის სისტემაში“. ფედერალური კანონი აწესებს ქვეყნის მასშტაბით პრობაციის მუშაკების ფუნქციებსა და ამოცანებს. (ლონლაძე ნ., 2017)

ფინეთში სახელმწიფო სოციალურ სტრუქტურებთან ერთად ფართოდ არის განვითარებული არასამთავრობო, საზოგადოებრივი ან ნახევრად სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, რომელთა დაფინანსებასა და კონტროლს უზრუნველყოფს სახელმწიფო. მათ მოვალეობაში შედის: კონკრეტული სოციალური პროგრამების შემუშავება, მათი რეალიზება, მსჯავრდებულთათვის სოციალური და სხვა სახის დახმარების გაწევა და სხვ. (Гумилева Л.Н., 2014)

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის კუთხით აღსანიშნავია საფრანგეთში არსებული მდგომარეობა. აქ არასრულწლოვანთა რესოციალიზაციის ერთერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს - "მიმღები ოჯახის" 39 ცენტრი. აღნიშნულ ცენტრში მოხვედრა არასრულწლოვანს შეუძლია 13,5 წლიდან, მაგრამ თუ განსაკუთრებული შემთხვევაა შესაძლოა 11 წლიდანაც. იქ დარჩენა შესაძლებელია 18 ან 21 წლამდე. დარჩენის ვადა განისაზღვრება მოსამართლის მიერ. ასეთი ოჯახები სახელმწიფოსგან ღებულობენ გარკვეულ ყოველდღიურ თანხას, თუმცა ეს არ წარმოადგენს ხელფასს. მიმღებ ოჯახებში არსებული მდგომარეობის კონტროლს ახორციელებენ ცენტრის თანამშრომლები, რომლებიც სისტემატურად დადიან

ამგვარ ოჯახებში და ატარებენ გასაუბრებებს, როგორც არასრულწლოვანთან, ასევე მიმღები ოჯახის წევრებთან. (Садовникова М., 2014)

საქართველოში რესოციალიზაციის პროგრამების განხორციელება იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიზნებს წარმოადგენს. ამ კუთხით აღსანიშნავია ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც 2012 წლიდან დაიწყო და რომლის ფარგლებშიც არაერთი ყოფილი პატიმარი დასაქმდა, თუ ჩაერთო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო აქტივობებში. (ჭეიშვილი ნ., 2014)

ევროპის იმ ქვეყნების უმრავლესობაში, სადაც ყოფილ მსჯავრდებულთა მიმართ სასჯელის აღსრულების შემდომი მხარდაჭერის პროგრამები ხორციელდება, ამ ფუნქციას პრობაციის სამსახურები აღასრულებენ. საქართველომ ამ მხრივ დამატებითი სტრუქტურული ერთეული შექმნა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დანაშაულის პრევენციის ცენტრი, რომლის ერთ-ერთ ფუნქციად ხსენებული უფლებამოსილების განხორციელება განისაზღვრა. (შალიკაშვილი მ., 2011)

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმა მზადდება მის გათავისუფლებამდე სულ მცირე 2 თვით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ვადის დაცვა შეუძლებელია პირობით ვადამდე გათავისუფლების ან ამნისტიის/შენცალგების აქტის გამოცემის ანდა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის გამო. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმის მოსამზადებლად მისი გათავისუფლებიდან 3 თვემდე ვადის განმავლობაში პრობაციის ეროვნული სააგენტო თანამშრომლობს დანაშაულის პრევენციის ცენტრთან და იმ ტერიტორიულ/ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, სადაც არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილი მდებარეობს ან სადაც ის აპირებს დაბრუნებას. (ამკ მუხლი 98, ნაწილი 8).

დასკვნა

ამდენად, ნაშრომში განხილულ იქნა არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ განსახორციელებელი სასჯელის პრობლემატიკა და დანიშვნის თავისებურებები, რადგან არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნები განსახვავებულია სრულწლოვანთა სასჯელის მიზნებისაგან.

ნაშრომში განხილული მასალიდან და ყოველივე ზემოთქმულიდან შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გამოტანა:

ბავშვები ნებისმიერ სახელმწიფოში განსაკუთრებული პრივილეგიებულ პოზიციაში არიან. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი: მოზარდ თაობაზე ზრუნვა სახელმწიფოს საქმიანობების ყველაზე მრავალფეროვან სფეროში გამოიხატება.

არასრულწლოვნების პერიოდი ადამიანის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი დროა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მის მომავალზე. შესაბამისად, კანონმდებლობა უნდა იყოს იმდენად დახვეწილი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, რომ ამ ასაკში ჩადენილმა დანაშაულმა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩაიაროს პირის ცხოვრებაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განსაკუთრებული როლი სასჯელებს აკისრია.

ზოგადად სასჯელი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ღონისძიებაა, იგი ასევე ერთ-ერთი ის ღონისძიებაა, რომელიც სისხლის სამართალში გამოიყენება.

ზოგადად სასჯელი რომელიც ინიშნება სრულწლოვნების მიმართ, როგორც სამართლებრივი იძულების ერთ-ერთი სახე, მიზნად ისახავს სამართლიანობის აღდგენას, ანუ დარღვეულის აღდგენაში გამოიხატება. თუმცა ამ მხრივ განსხვავებულია არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის მიზნები. იქიდან გამომდინარე, რომ სასჯელის ერთ-ერთი მიზანი სამართლიანობის აღდგენა გაიგივებულია სამაგეროს მიზღვასთან, არასრულწლოვანთა მიმართ სხვაგვარად

არის, რადგან სამაგიეროს მიზღვა არ შეიძლება იყოს სასჯელის მიზანი არასრულწლოვანთა შემთხვევაში.

სასჯელი წარმოადგენს სახელმწიფოს რეაქციას ჩადენილ დანაშაულზე. იგი სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული ღონისძიებაა. განსაკუთრებულია იმიტომ, რომ იგი იძულებითი ხასიათისაა. იგი მხოლოდ ისეთი ქმედებისათვის შეიძლება დაინიშნოს, რომელიც მიჩნეულია სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულად. სასჯელის დანიშვნა ხდება მხოლოდ სასამართლოს განაჩენის თანახმად. სასჯელის დანესება სახელმწიფოს განსაკუთრებულ უფლებას წარმოადგენს. სასჯელი არის რა იძულებითი ღონისძიება, ინიშნება სახელმწიფოს სახელით და მხოლოდ სასამართლოს განაჩენით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, პირველ ადგილზეა არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და შემდგომ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. არასრულწლოვნისთვის სასჯელი, პირველ რიგში, უნდა ემსახუროდეს მის აღზრდას.

სასჯელის სწორად დანიშვნამ საზოგადოების თითოეულ წევრს სამართლიანობის განცდა უნდა ჩამოუყალიბოს. სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასჯელის მიზნები, მისი დანიშვნის ზოგადი საწყისები. ეს პროცესი განსაკუთრებულ სპეციფიკას მოითხოვს არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნისას, რომლის დროსაც, ჩამოთვლილ გარემოებებთან ერთად, მხედველობაშია მისაღები დამნაშავის ასაკი. არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელი გამოყენებულ და შერჩეულ უნდა იქნეს ინდივიდუალურად, მისი პიროვნების, ოჯახური, სოციალური და მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით და იგი (სასჯელი) უნდა ემსახუროდეს დამნაშავე მოზარდის აღზრდას.

არასრულწლოვანი დამნაშავე შეიძლება დაუბრუნდეს ნორმალურ, ცხოვრებას, თუკი მას ნორმალურ პირობებს შეუქმნით. ეს პირობები მრავალ ფაქტორს მოიცავს: ჯანსაღ სოციო-ეკონომიკურ სიტუაციას, ფსიქოლოგიურ დახმარებას, ზოგადი განათლებითა და პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფას.

რესოციალიზაციის საკითხს სისხლის სამართალში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული მასალა

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2009
3. საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“
4. ბავშვის უფლებათა კონვენცია, მოკლე მიმოხილვა, თბილისი, 2007

ქართული ლიტერატურა

1. არაყიშვილი ნ., მედიაცია და განრიდება (სტატია), აკადემიური მაცნე, სამართალი, ბიზნესი და მართვა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ქ. თბილისი, 2015 წ., გვ. 103
2. არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაცია საქართველოში, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, სახელმწიფო მმართველობის სკოლა, 2004.
3. არასრულწლოვანთა დანაშაულობის დეტერმინაცია, იხ. აგრეთვე ლლონტი გ. (რედ.), 2008, გვ. 292.
4. არსოშვილი, გ./ მიქანაძე, გ./ შალიკაშვილი, მ., პრობაციის სამართალი.
5. თბილისი, 2015.
6. გაბიანი, ლ. ღვინევაძე. არამართლზომიერი ქცევა „ქუჩის“ მოზარდებში (სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგების მიხედვით). უ. „სამართალი“. თბ., 2001წ. №11
7. გაბიანი ა., გვენეტაძე ნ., დვალიძე ი., თოდუა ნ., ივანიძე მ., მამულაშვილი გ., ნაჭყებია გ., ტყეშელაშვილი გ., ხუროშვილი გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2007

8. გამყრელიძე ო., სისხლისსამართლებრივი სასჯელის ცნება, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი 2013
9. გოთუა ზ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბილისი, 2001
10. გორგოძე მ, იუვენალური იუსტიციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ მოდელები და ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი პრობლემური საკითხი ამ მოდელთა ჭრილში, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, თბილისი 2017
11. გორგოძე მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ზოგიერთი სადავო საკითხი, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2018
12. დაუთაშვილი პ., არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ზოგიერთი მეთოდური მიდგომები განათლების სისტემაში, გრ. რობაქიძის უნივერსიტეტი, აკადემიური მაცნე, სამართალი № 4, თბილისი, 2015
13. დვალიძე, ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, 2013,
14. დონიჭაშვილი თ., საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2007
15. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპის საბჭოს პრობაციის წესების შესახებ, ნაწილი I, 2010.
16. ვარდანაშვილი უ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება „ განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში“, 2018
17. ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2016
18. ზეჰერი პ. აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი
19. იანგე ლ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, გაერო, 2015წ.,
20. ივანიძე მ., სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, თბილისი 2017

21. კვიციანი, ვ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2004
22. მახარობლიძე თ., ელექტრონული ზედამხედველობა, როგორც შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი იუვენალურ იუსტიციაში, მათა ივანიძე 50 წლის იუბილე, 2017
23. მახარობლიძე თ., სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2007
24. მინაშვილი ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2017
25. ნაჭყებია გ./ დვალიძე ი. (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. სახელმძღვანელო, თბილისი, 2007
26. ნობაძე ლ., იუვენალური იუსტიციის განვითარების ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტები, მათა ივანიძე 50 წლის იუბილე, 2017
27. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2013.
28. საჭაია თ., არასრულწლოვანთა მიდგომები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრის ქართულ სტანდარტთან მიმართებაში, 2017
29. სურგულაძე ლ., მოზარდი და სისხლის სამართლის კანონი, ქ. თბილისი, 1989
30. სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია, 2015
31. ტურავა მ. , სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-8 გამოცემა, თბილისი, 2010
32. ტყეშელაძე გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, 2007
33. ქათამაძე მ., სასჯელის მიზნები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, სისხლის სამართალი, აღმანახი 2004 №19

34. ქელბაქიანი ა., ცაგარელი ნ., ტურაბაშვილი გ. „არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, კვლევის ანგარიში, 2016
35. ქვრივიშვილი თ, არასრულწლოვნის პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, თბილისი 2017
36. ღონღაძე ნ., ყოფილ პატიმართა და პრობაციონერთა რეაბილიტაცია: საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა, თბილისი, 2017
37. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, 2011
38. შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბილისი, 2011
39. შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, 2016
40. შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ./ხასია, მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014.
41. შვაბე, იურ., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებები. თბილისი 2011.
42. ჩხეიძე ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - მიღწევები და გამოწვევები. 2016
43. ჭეიშვილი ნ., რესოციალიზაციის პოლიტიკა საქართველოში, 2014
44. ხასია მ. (გ.), არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის საერთაშორისო სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, თბილისი 2017
45. ხერხეულიძე ი., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციების

ეფექტურობა, ურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, თბილისი 2017

46. ხუჭუა ნ., ასაკი, როგორც ბრალის გამომრიცხველი გარემოება, ურნალი „ალმანახი“, სისხლის სამართალი, I, 1998

47. ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011

უცხოენოვანი ლიტერატურა

1. Аушев А . Б ., История ювенальной юстиции . Опыт и перспективы ювенальной юстиции в России , Евразийски юридически журнал № 10 (17) 2009.
2. Авторский коллектив, ПРАВОСУДИЕ В ОТНОШЕНИИ НЕСОВЕРШЕННОЛЕТНИХ: ОПЫТ, ПРАКТИКА, РАЗВИТИЕ Межрегиональный тематический доклад. МОСКВА, 2010
3. Гумилева Л.Н., Проблемы ресоциализации заключенных, 2014
4. Дигесты Юстиниана: Избр. фрагменты / Пер. и примеч. И.С. Перетерского. М., 1984.
5. Есаков Г. А. Основы сравнительного уголовного права: Монография. М., 2007.
6. Замечания общего порядка №10. «Права детей в рамках отправления правосудия в отношении несовершеннолетних» /Комитет ООН по правам ребенка, 44 сессия, Женева, 15 января – 2 февраля 2007 г.
7. Иванов, Н.Г. Уголовный процесс России [Текст] / Н.Г. Иванов. - М.: Экзамен, 2014.
8. Карнозова Л. На пути к новой парадигме уголовной юстиции (краткий очерк о восстановительном правосудии) Евроремонт Гулага. М., 2003, № 18 (23).
9. Карпец И.И., индивидуализация наказания, Москва, 1961

10. Конвенция о правах ребенка [Текст] // Ведомости Съезда народных депутатов СССР и Верховного Совета СССР. - 07.11.1990. - №45.
11. Курс уголовного права том 2, Общая часть, учение о наказании, Москва, 2002
12. Левченко В.Н. Совершенствование альтернативных видов уголовных наказаний // Actualscience. – 2015. – Т. 1. – № 1.
13. Журавлев, М.П. Уголовный процесс РФ [Текст] / М.П. Журавлев. - М.: Норма, 2013.
14. Магомедов Д. О. Хан., в книге: под редакцией Н.И. Загородникова, С.В. Бородина, Уголовное право, часть общая, 1966
15. Минина, С.П. Закон и несовершеннолетние граждане России [Текст] / С.П. Минина. - СПб.: Питер, 2014.
16. Минимальные стандартные правила ООН, касающиеся отправления правосудия в отношении несовершеннолетних («Пекинские правила») //Международные акты о правах человека: Сборник документов. – М.: Издательство НОРМА-ИНФА, 2000.
17. Руководство ООН по оценке показателей в области правосудия в отношении несовершеннолетних. – М.: ЮНИСЕФ, 2010
18. Садовникова М., Как работает ювенальная юстиция во Франции, 2014
19. Специализированный ежемесячный журнал «ЮРИСТ», 2012, №12
20. Тарасова Е.П. Детские суды за границей // Дети-преступники / Под ред. М.Н. Гернета. М., 1912.
21. Трубников В. МЛ., Понятие социальной адаптации освобожденных от наказания, Правоведение, №1 1984
22. Уголовно-судебное уложение Карла V. Алма-Аты, 1967
23. Baumann J., U. Weber, W. Mitsch, Strafrecht, Allgemeiner Teil, Bielefeld, 1995
24. Baurmann M., Strafe im Rechtsstaat, München, 1990

25. Bühler, J. Strafe, Recht auf Gewalt, Schweiz, 2007
26. Diemer, H./Schoreit, A. /Sonnen, B-R., Jugendgerichtsgesetz Kommentar, 2006
27. Diemer, H./Schatz, H. /Sonnen, B-R., Jugendgerichtsgesetz Kommentar. 6. Auflage. München 2011.
28. Eisenberg, U., Jugendgerichtsgesetzkommentar. 11. Auflage 2006; 14. Auflage. München 2010.
29. Gropp, W. Strafrecht, Allgemeiner Teil, Springer-Verlag, Berlin Heidelberg, 2001
30. Kazushige D., Wozu bestrafen wir Straftäter? Staat, Strafe und ich, 2011
31. Norbert Hoerster, Muss Strafe sein? Positionen der Philosophie, München, 2012,
32. Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R. (Hrsg), Jugendgerichtsgesetz. Handkommentar. Auflage. Baden-Baden 2014
33. Zieger, M. Verteidigung in Jugendstrafsachen, 6.Auflage, 2013
34. Schönke, A. Schröder H., Strafgesetzbuch, Kommentar, Verlag C.H. Beck, München, 2010
35. Schneider, K., Electronic Monitoring. Alternativer Strafvollzug oder Alternative zum Strafvollzug? Baden-Baden 2003.
36. Ostendorf H., Jugendstrafrecht undjugendstrafverfahren, Stand März 2009
37. Wittstamm, K., Elektronische Hausarrest? Zur Anwendbarkeit eines amerikanischen Sanktionsmodells in Deutschland. Baden-baden 1999.

ინტერნეტრესურსები

1. <https://www.ncjrs.gov> <http://criminal.findlaw.com>
2. <https://definitions.uslegal.com>
3. www.juvenilejustice.ru
4. <http://journal.zakon.kz>

5. <http://ganrideba.ge>